ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 23 დეკემბერი, 2016 №304 (7229) ფასი: 50 თეთრი

## ლარი დოლართან გამყარდა, ევროსთან გაუფასურდა



გვ.6

22 დეკემბრიდან

ძმები გრიმები

წითელქუდა

მაგარი ყდა: 64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# „ხელისუფლება რევოლუციისკენ მიექანება"



გია ხუხაშვილი: „საჯარო მოხელეებს მიუღებელი სახით ათავისუფლებენ სამსახურებიდან. მათ თვითმკვლელობისკენ უბიძგებენ"

გვ.2





გვ.3

## მამუკა გამყრელიძე: „სააკაშვილს ვერ ჩააჩოჩებ. ის უნდა მოიცილო"

„ივანიშვილი კვირიკაშვილს გაწირავს"

„შექმნილი პრობლემები კრახი და კოლაფსი არ არის"

## ბიძინა გუჯაბიძე: „კრედიტის გადახდა მეც გამიძვირდა"



გვ.2

## სოსო ცინცაძე: „სირიაზე განცხადებით რუსეთს გავალიზიანებთ"



გვ.4

## ვიქტორ დოლიძე: „ქამარი შემოვიჭირე, ისევე, როგორც ყველა სამინისტრომ"



გვ.4



კაციშვილმა არ იცის, მაია დამნაშავეა თუ არა იურიდიულად, რადგან სასამართლო განაჩენი არ არსებობს.



გვ.8

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## ვახტანგ რჩეულიშვილი: „სასამართლოს გარეშე მაიას სასიკვდილო განაჩენს უსჯიან"




გვ.4

## აფხაზურ პარლამენტში ლოთებსა და ნარკომანებს არ შეუშვებენ

## საქართველო და სომხეთი ერთიან ტურისტულ პაკეტს ქმნიან



გვ.6

## გიორგი მღებრიშვილი:

„დანაშაულის სტატისტიკა გაზრდილი არ არის"



გვ.4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ხელისუფლება რევოლუციისკენ მიექანება“

შორენა მარსაგიშვილი

## გია ხუხაშვილი: „საჯარო მოხელეებს მიუღებელი სახით ათავისუფლებენ სამსახურებიდან. მათ თვითმკვლელობისკენ უბიძგებენ“

როდისთვის უნდა ველოდოთ სოციალურ აფეთქებას, ვინ ჩაუდგება საპროტესტო აქციებს სათავეში, რატომ აყენებენ მინისტრები საჯარო მოხელეებს შეურაცხყოფას, საითკენ მიექანება ხელისუფლება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი **გია ხუხაშვილი** ესაუბრება.

***– საჯარო სამსახურებში თანამშრომლების შემცირება დაიწყო. ხელისუფლების წარმომადგენლები ამ პროცესს მიესალმებიან. თქვენი აზრით, ოპტიმიზაცია რაიმე შედეგს გამოიღებს?***

– ამ საკითხს ორი ასპექტი აქვს, ერთი – სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობა და მეორე – სოციალური ასპექტი. ხელისუფლებასთან ორივე ასპექტში მაქვს კითხვები. ისინი ამბობენ, რომ ოპტიმიზაციას იმისთვის აკეთებენ, რომ ხარჯები შეამცირონ და ეფექტურობა გაზარდონ. მე ვსვამ კითხვას: აქამდე არაეფექტური თუ იყო მათი მუშაობა, რას უყურებდნენ? თუ აქამდე იმაზე მეტი ადამიანი ჰყავდათ, რაც სისტემის ეფექტურ მუშაობას სჭირდება, მაშინ ვსვამ კითხვას: აქამდეც თავად არ იყვნენ მინისტრები? რატომ ჰყავდათ ზედმეტი ხალხი?!

ეფექტური თუ იყო ეს ყველაფერი, მაშინ ჩნდება კითხვა – ამ ხალხის გაშვება ხომ არ დააზიანებს სისტემის ეფექტურ მართვას? პარადოქსული სიტუაციაა შექმნილი და ეს კამპანიურ სახეს ტოვებს. თუ მაინცდამაინც ხარჯების შემცირება უნდათ, ეს ადამიანური რესურსის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ბევრი სახის ხარჯებია სამინისტროებში და ის შეამცირონ. საზღვარგარეთ 40-კაციანი დელეგაციები რომ მიდიან, აქეთ-იქით დაწოწიალობენ, რამე შედეგი მოაქვთ? ეს ხარჯები შეამცირონ. დელეგაციების ვიზიტი 5 კაცის მთელი წლის ხელფასია.

სოციალურ ასპექტს რაც შეეხება, აქ ძალიან მძიმედ არის საქმე. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გარდა იმისა, რომ ისინი დალხენილად არ ცხოვრობდნენ, მათ კრედიტებიც აქვთ. ეს ხალხი სამსახურიდან ნულით კი არა, მინუსებით მიდის. ეს არის ძალიან მწვავე სოციალური პრობლემა, რომელიც ხელისუფლებას წინ ძალიან ცუდად დახვდება.

ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ საჯარო მოხელეებს მიუღებელი სახით ათავისუფლებენ სამსახურებიდან.

***– რას გულისხმობთ?***

– მინისტრების განცხადებებს. მაგალითად, განათლების მინისტრი ამბობს, რომ ვინც გასაშვებია, ის უნდა გავუშვათ. მე ვსვამ მარტივ კითხვას: თუ ვინც ცუდად მუშაობს, ის უნდა გაუშვან, მაშინ რატომ უნდა დარჩეს თანამდებობაზე ალექსანდრე ჯეჯელავა? მთელი საზოგადოება თანხმდება, რომ ის ცუდად მუშაობს. ამ კრიტერიუმით, პირველ რიგში, ის უნდა გავუშვათ. ჩემი თუ არ სჯერა, ჩავატაროთ გამოკითხვა განათლების სფეროს სპეციალისტებში. ყველა იტყვის, რომ განათლების მინისტრი ცუდად მუშაობს და თანამდებობას არ შეესაბამება.

ალარაფერს ვამბობ შინაგან საქმეთა მინისტრზე, რომელიც ამბობს, რომ სამსახურიდან წავა ე.წ. ბალასტი. ეს კაცი ახლა არ დანიშნულა მინისტრად და ამდენი ხანი რატომ ითმენდა სამინისტროში „ბალასტს“?!

მინისტრებს უნდა ესმოდეთ, რომ ქვეყანაში არსებული გაჭირვების თანაზიარი უნდა იყვნენ. თუ შენ გაქვს ადამიანების გაშვების ობიექტური აუცილებლობა, გაუშვი, მაგრამ ადამიანურად დაელაპარაკე. გარ-



და იმისა, რომ შემოსავლის გარეშე ტოვებ, ღირსებასაც ულახავ. ასეთმა დამოკიდებულებამ და რიტორიკამ, შესაძლოა, ადამიანები თვითმკვლელობამდე მიიყვანოს.

მივმართავ მინისტრებს: სანამ რამეს იტყვიან, კარგად დაფიქრდნენ. მათ ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ აქვთ თმენის ვალდებულება და თანამონაწილეობა უნდა აგრძნობინონ ადამიანებს, ის მაინც უნდა დაანახონ, რომ მათთვის სხვისი გაჭირვება სულ ერთი არ არის. მათ უნდა იცოდნენ, რომ რასაც ისინი სხვებზე ამბობენ, საზოგადოებას ბევრად უფრო მკაცრად შეუძლია ამის თქმა.

***– ზემოთ თქვენ აღნიშნეთ, რომ სამსახურებიდან ხალხის გაშვება ხელისუფლებას წინ ცუდად დახვდება. საუბრობენ აქციებზეც. უნდა ველოდოთ თუ არა სოციალურ აფეთქებას?***

– აქციები უფრო პოლიტიკური ვითარებაა. ქვეყანაში ისეთი მძიმე მდგომარეობაა, რომ საუბრის სურვილიც კი არა მაქვს. ფაქტია, ჩვენ დღეს ძალიან ბევრი რისკი გვაქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ის ხალხი გაღარიბდა, რომელიც ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ საშუალო ფენად ითვლებოდა. მათი სახით ძალიან დიდი დაძაბულობის კერა იქმნება.

ხელისუფლება ძალიან სწრაფად მიიწევს თვითიზოლაციისკენ. ქმნიან ძალიან ბევრ სახიფათო და აგრესიულ კერას, რაც მის წინააღმდეგ იქნება მიმართული. მთავრობა საზოგადოებაში მოკავშირეებს აღარ იტოვებს, ადამიანურ ენაზე არავის არ ელაპარაკებიან. არადა, იმ დროს, როცა ქვეყანაში ასეთი მძიმე ვითარებაა, ხელისუფლება მაქსიმალურად უნდა ეძებდეს მოკავშირეებს. ამის ნაცვლად ადამიანური სახე სულ დაკარგეს და ისიც კი არ იციან, რას ლაპარაკობენ.

***– ამბობთ საზოგადოებაში მოკავშირე აღარ ჰყავთო და რისი იმედი აქვთ, ასე რომ იქცევიან?***

– მე ვფიქრობ, წინ არ იყურებიან, გადაგორების პრინციპით მოქმედებენ. შეუძლებელია, წინ გაიხედო და ვერ დაინახო ის საფრთხე, რომელიც გელოდება.

***– ეს საფრთხე შეიძლება რევოლუცია იყოს?***

– რევოლუცია პოლიტიკური პროცესია, რომელსაც პოლიტიკური ლიდერი სჭირდება. ასეთი ლიდერი ჯერჯერობით თითქოს არ ჩანს. შესაბამისად, არსებული ვითარების მიმართ პროტესტი სამზარეულოდან არ გადის. სამზარეულოდან ის, შესაძლოა, ნებისმიერ წამს გამოვიდეს, მაგრამ მას ლოკალური სახე ექნება. თავიდან არსებულ ვითარებას პატარ-პატარა ჯგუფები გააპროტესტებენ, მერე აუცილებლად გამოჩნდება ვიღაც, ვინც ამ ყველაფრის კონსოლიდაციას მოახდენს.

ამ ეტაპზე ამის გაკეთება შეუძლია ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ ეს პარტია დაზიანებული ბრენდია, თან შიგნითაც აქვთ პრობლემები. რომც დალაგდნენ, ისეთი ცუდი წარსული აქვთ, საზოგადოების სრულ კონსოლიდაციას ვერ მოახდენენ. მათ ნაცვლად ვიღაც სხვა მოახდენს ერის კონსოლიდირებას.

***– ეს სხვა ვინ შეიძლება იყოს?***

– პოლიტიკურ ბაზარზე პროცესების ასე განვითარების მოთხოვნილება არსებობს. ბაზრის პრინციპი ასეთია: როცა მოთხოვნილება არსებობს, მიწოდებაც ჩნდება. ვიღაც აუცილებლად გამოჩნდება. თებერვალ-მარტში გვექნება სოციალური კრიზისის პიკი. გამიჭირდება იმის თქმა, გადაიზრდება თუ არა ეს პოლიტიკურ კრიზისში. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს დამოკიდებულია იმაზე, მოხდება თუ არა ხალხის კონსოლიდაცია.

# ბიძინა გუჯაბიძე: „კრედიტის გადახდა მეც გამიძვირდა“

მარიამ მჭედლიშვილი

## „შექმნილი პრობლემები კრახი და კოლაფსი არ არის“

„ახალი თაობა“ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატ **ბიძინა გუჯაბიძეს** ესაუბრა.

***– ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას ბევრი ადარებს კრახსა და კოლაფსს. შეძლებს ხელისუფლება ამ მდგომარეობიდან გამოსვლას?***

– ეკონომიკაში შექმნილი პრობლემები კრახი და კოლაფსი ნამდვილად არ არის. ლარი გაუფასურებულია, ეკონომიკაში პრობლემები არსებობს, მაგრამ იმის ძახილი, რომ ვიღუპებით, არ არის სწორი. ზოგს არ მოსწონს შედარებები სხვა ქვეყნებთან. არადა, თვალს ვერ დავხუჭავთ იმაზე, რაც სამეზობლოში ხდება.

თურქეთში, ტერაქტების გარდა, ძალიან რთული ეკონომიკური მდგომარეობაა. თურქული ლირა ძალიან არის გაუფასურებული. იგივე მოვლენებია აზერბაიჯანში. რუსეთის ეკონომიკას თავისი პრობლემები აქვს. ამ ქვეყნებშიც არსებობს ოპოზიცია, რომელიც ამუქებს რეალობას და იყენებს ისეთ ტერმინს, როგორიცაა, მაგალითად, „კრახი“. თურქეთში ბევრად უარესი მდგომარეობაა, ვიდრე ჩვენთან. როცა ეკონომიკური ზრდა 2%-ს აღემატება, ეს იმას ნიშნავს, რომ კრიზისი არ არის. ამ ზრდას საქართველოში ყველა აღიარებს.

***– ფასები უკვე გაიზარდა.***

– ზოგიერთ პროდუქციაზე გაზრდილია ფასი. ეს არაა მასშტაბური და საყოველთაო გაძვირება. ყველაზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის მოქალაქეები, რომლებსაც კრედიტები დოლარში აქვთ აღებული. პირადად მეც მაქვს აღებული სესხი და მისი გადახდა მეც გამიძვირდა. ამით მეც ვზარალდები. ხელისუფლებამ ამაზე იზრუნა და იანვრიდან ამ მიმართულებით სუბსიდიები გამოიყოფა.



### „მინისტრები და მოადგილეები პრემიებს საერთოდ არ უნდა იღებდნენ“

***– ყველა მოქალაქის მდგომარეობა, ალბათ, მაშინ შემსუბუქდება, თუ წარმოება განახლდება. ეს ლარის კურსსაც დაეტყობოდა.***

– წარმოება კარგია, მაგრამ, მან რომ ცვლილებები მოიტანოს, აუცილებელია წარმოებული პროდუქციისათვის გასაღების ბაზრები. თუ საგარეო ბაზარი არ არის უზრუნველყოფილი, მაშინ ეს ლარის კურსზე დადებითად ვერ აისახება.

***– ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს 200.000 სამუშაო ადგილის შექმნა.***

– დიახ. ხელისუფლება ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, თორემ სამუშაო ადგილების საჯარო სექტორში შექმნა გამოსავალი არ არის. პირიქით, ამ სფეროში ოპტიმიზაცია მიმდინარეობს. უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლები სხვაგან უნდა დასაქმდნენ. არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ ბიზნესგეგმა, მაგრამ თავს იკავებენ ისეთ პროგრამებში ჩართვისაგან, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“ და სხვა. გასარკვევია, ხომ არ არსებობს აქ დაბრკოლებები. თუ ასეთი წინააღმდეგობები არის, ისინი დასაძლევია.

ბიზნესს ხელი უნდა შეეწყოს, რათა სამუშაო ადგილები კერძო სექტორში შეიქმნას. მყისიერად, საახალწლოდ ვერავინ ვერავის დაასაქმებს. ამას დრო სჭირდება. გაისმის განცხადებები, თითქოს სააკაშვილის დროს მშიერი ადამიანები არ იყვნენ.

***– არსებობს აზრი, რომ მაშინ მეტი მოქალაქე იყო სოციალურად დაცული.***

– ეს არასწორია. სააკაშვილის დროს სიდუხჭირე იყო და ეს ბევრს ახსოვს. საყოველთაო ჯანდაცვა, ზოგ ფაკულტეტზე უფასო უმაღლესი განათლება და უფასო სახელმძღვანელოები სკოლებში „ქართულმა ოცნებამ“ შემოიღო. ამით ოჯახებს თანხები დაეზოგათ. კიდევ ბევრი შეღავათი იქნა შემოღებული. ამიტომ ტყუილია იმის მტკიცება, თითქოს სააკაშვილის დროს ხალხი კარგად ცხოვრობდა.

***– ბევრი კრიტიკაა ხელისუფლების მიმართ იმის გამო, რომ სათანადოდ არ შემცირდა ადმინისტრაციული ხარჯები. მაღალჩინოსნები ისევ ჯიპებით დასრიალებენ და სხვა ბევრ რამესაც არ იკლებენ.***

– ეს კრიტიკა მთლად უსაფუძვლო არ არის. ფუფუნება და დიდი ხარჯები ინერციით წინა ხელისუფლებიდან მოდის. ამ ხელისუფლების წარმომადგენლებმაც აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობაში მიიღეს დიდი პრემია-დანამატები. დეპუტატებს პრემიები დიდი ხანია, არ აგვილია. პარლამენტში მხოლოდ აპარატის მუშაკებისათვის გაიცემოდა პრემიები. ზოგმა გამგეობამ და საკრებულომ უარი თქვა პრემიებსა და დანამატებზე.

არსებობს სამინისტროები, სადაც ბოლო დროს არ გაცემულა პრემიები და დანამატები. კარგი იქნება, თუ მათ სხვებიც მიბაძავენ. მინისტრმა და მინისტრის მოადგილეებმა საერთოდ არ უნდა აიღონ პრემიები. შექმნილ სიტუაციაში სხვებთან მიმართებითაც უნდა დაიზოგოს ხარჯები.

***– ჯიპებს თუ ეშველება რამე?***

– ადმინისტრაციული ხარჯები შესამცირებელია. არ ვარ იმის მომხრე, რომ ჩინოსნებმა ყველაზე ძვირი მანქანებით იარონ და უზომო საწვავი დაწვან. ჩვენ ის შემთხვევაც გვახსოვს, როცა ახალი მანქანა მოინდომეს იმ საბაბით, რომ სამსახურებრივ ავტომობილში სიგარეტის სუნი იყო. ასეთი რამ აღარ უნდა მოხდეს!

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა გამყრელიძე: „სააკაშვილს ვერ ჩააჩოჩებ. ის უნდა მოიცილო“

ნონა ცაბაძე

## „ივანიშვილი კვირიკაშვილს გაწირავს“

იანვრის მეორე ნახევარში ნაციონალურ მოძრაობაში სერიოზული პროცესები დაიწყება. ამბობენ, რომ მართვის სათავეებს ხელში მიხეილ სააკაშვილი აიღებს. როგორც „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი ელჩი **მამუკა გამყრელიძე** აცხადებს, განდგომილებმა ისევ დაიწყეს სააკაშვილის ნავში გადახტომა.

***– ბატონო მამუკა, მიხეილ სააკაშვილმა ღიად დაიწყო მინიშნებები ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებზე, რომ მისთვის ყველაფერი ცნობილია, ყველა გარიგება. რა გარიგებებზე საუბრობს ის? მართლაც ივანიშვილმა იყიდა ნაციონალური მოძრაობის ამჟამინდელი ლიდერები?***

– ასე პირდაპირ იმის ლაპარაკი, რომ ვინმე იყიდეს, მიუღებელია. თუ ვინმე გაიყიდა ოდესმე, მაშინ ამის ფაქტი უნდა იდოს, რომ ამაზე ღიად ვისაუბროთ. აქ ლაპარაკი ამაზე არ არის.

***– აბა, რაზეა ლაპარაკი?***

– როგორც ჩანს, იყო განსხვავება შეხედულებებში მიხეილ სააკაშვილის ჯგუფსა და მეორე ჯგუფს შორის – როგორ უნდა განვითარდეს პარტიის ცხოვრება და ასე შემდეგ. პოლიტსაბჭოზე გაიმარჯვა იმ ჯგუფმა, რომელსაც წარმოადგენდა მიხეილ სააკაშვილი. სააკაშვილი ღია მართვის მომხრეა, ეს ადამიანები კი კაბინეტური მართვის მომხრეები არიან. ნაციონალურ მოძრაობას კაბინეტური მართვა არ უხდება. ის ხალხოსნური პარტიაა და კარგია, თუ ასეთად დარჩება.

***– ჭირი ვეღარ დაიმალება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევაო, აცხადებს სააკაშვილი. რას გულისხმობს ის?***

– გამარჯვების მოპოვება პარტიაში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ მიხეილ სააკაშვილს ჩააჩოჩებდნენ!

***– ჩააჩოჩეს?***

– მიხეილ სააკაშვილი ის პიროვნება არ არის, რომლის ჩაჩოჩებაც შეიძლება. მიხეილ სააკაშვილი უნდა მოიცილო მთლიანად თავიდან. მას ვერ ჩააჩოჩებ, გამორიცხულია. ის უაღრესად ძლიერი პოლიტიკური ფიგურაა. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, დაემთხვა იმ ჯგუფის ინტერესები, რომელმაც იფიქრა, რომ შესაძლებელი იქნებოდა სააკაშვილის გადანაცვლება სადმე სხვაგან და მეორე მხრივ ივანიშვილის, რომელსაც ჭირის დღესავით ეზიზღება სააკაშვილი და უნდა, რომ მაქსიმალურად დაასუსტოს.

როგორც ჩანს, სააკაშვილი ამ ჯგუფისა და ქვეყნის არაფორმალური მმართველის, ივანიშვილის ინტერესთა დამთხვევაზე საუბრობს.

***– რას ელოდებით ყრილობაზე, რომელიც იანვრის მეორე ნახევარში დაანონსდა? ვინ ვის ჩააჩოჩებს ამ შემთხვევაში?***

– ამ შემთხვევაში უკვე ჩაჩოჩება აღარ იქნება. ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. როგორც ჩანს, უფრო მკვეთრი და რადიკალური ნაბიჯები გადაიდგმება. გეტყვით იმასაც, რომ ეს ე.წ. გამიჯნულთა წრე საკმაოდ შემცირდება.

***– რას გულისხმობთ?***

– დღეს ისინი, ვინც აქამდე სააკაშვილს ორი ხელით ლანძღავდა, გამოდიან და ყველანაირად ცდილობენ, მისდამი პატივისცემა დააფიქსირონ. ჩემი აზრით, ეს უკვე გვიანია. ამ ჯგუფში გამოიკვეთება რამდენიმე ადამიანი, რომლებიც სააკაშვილისთვის მიუღებელი იქნებიან და დანარჩენებს მიხეილ სააკაშვილი, ალბათ, ისევ პარტიაში დატოვებს. მე მას კარგად ვიცნობ. მას ძალიან რბილი ხასიათი აქვს. რატომღაც ასეთი წარმოდგენა აქვს ხალხს, რომ ის არის მონსტრი და ბოროტი ადამიანი. არადა, ასე ნამდვილად არ არის.

***– ანუ განდგომილებს მიუტევებს?***

– ამ განდგომილების ჯგუფი ძალიან შემცირდება, დაპატარავდება და დიდი ნაწილი ისევ მიხეილ სააკაშვილის მხარეს გადავა. უკვე ზუსტად ვიცი, რომ რამდენიმე ადამიანი ჩავიდა კიევში და ცდილობენ სააკაშვილთან დაკავშირებას.

***– ანუ განწყობები შეიცვალა?***

– ხომ იცით, ქართველები რა ხალხია, უყვართ გადახტომა-გადმოხტომა.

***– ბოკერიაზე რას იტყვით? ამბობენ, რომ ის არ თმობს პოზიციებს.***

– ბოკერია და კიდევ რამდენიმე ადამიანი, ჩემი აზრით, დაიჭერენ ძალიან მკვეთრ პოზიციას.

***– და იქნება შეურიგებელი ფრთა?***



– რა თქმა უნდა. ბოკერიას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ თავისი ცალკე პარტია ჩამოაყალიბოს. შესაძლოა, ის არ იყოს გამორჩეული და განსაკუთრებული, რესპუბლიკელების დონის პარტია იყოს, მაგრამ მას ექნება შესაძლებლობა, თავისი ამბიციები იქ დაიკმაყოფილოს. ბევრად უფრო ღირსეული იქნებოდა, რომ თავიდანვე ასე მოქცეულიყო და არ მოენდომებინათ, ხელში ჩაეგდოთ პარტია თავისი რესურსებით. მათთვის უფრო მომგებიანი იყო, გამზადებული პარტია ჩაეგდოთ ხელში, თავისი ამომრჩევლითა და დაფინანსებით. გაეკეთებინათ თავიანთი პარტია და კარგად გამოჩნდებოდა, ვის მხარეს მეტი ხალხი გადაიხრებოდა. სააკაშვილს მეტი ელექტორატი ჰყავს და ისინი აუცილებლად დამარცხდებიან.

***– გამოდის, რომ ყრილობის შემდეგ მართვის სადავეებს კვლავ სააკაშვილი და მისი გუნდი აიღებს ხელში?***

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება! მთელი ეს პროცესი იმიტომ მოხდა, რომ მართვის სადავეები ხელიდან გაუშვა მიხეილ სააკაშვილმა. ვაშაძეც იმიტომ წავიდა, მას თავის გამოჩენა უნდოდა და ბოკერიამ არ მისცა ამის საშუალება. ის გუნდიც, პარლამენტში რომ შევიდა, აქედან ერთი-ორი თუ განიხილება სააკაშვილის მომხრეებად, დანარჩენები ბოკერიას მომხრეები არიან. გეტყვით იმასაც, რომ იქიდანაც მიმდინარეობს გადახტომები სააკაშვილის ნავში.

***– იქაც დაიწყო?***

– რა თქმა უნდა. უკვე იქაც გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც აქამდე თვალებს აბრიალებდნენ და ახლა უცებ აღმოჩნდა, რომ სააკაშვილი კარგია და ასე შემდეგ. მძულს ქართული პოლიტიკური ელიტა! აბსოლუტურად უღირსი და უპრინციპო პოლიტიკური ელიტა გვყავს ჩვენ!

***– აქეთ თუ იქით?***

– აქეთაც და იქითაც. პოზიციაც და ოპოზიციაც! ყველა მხარეს ეგეთები არიან.

***– პოლიტიკურ ელიტაზე საუბრობთ და რას იტყვით ხელისუფლების კურსზე? ოპტიმიზაციაზე საუბრის ფონზე გამოდის შს მინისტრი და საკუთარ თანამშრომლებს ბალასტს უწოდებს. რა ხდება ქვეყანაში?***

– მე ორი თვალსაზრისით შევაფასებდი: ერთნი არიან არაპროფესიონალური ჯგუფი, მეორე – ვინც პროფესიონალები არიან, ისინიც არაქმედებაუნარიანები არიან, იმიტომ, რომ მათ არ გააჩნიათ მოქმედების თავისუფლება. ეს ორი რამე დაემთხვა ერთმანეთს.

პარლამენტში გამაოგნებლად არაპროფესიონალები არიან მოკალათებულები, ძალიან დაბალი დონეა! მინისტრებს ასე დაბალ დონედ არ მივიჩნევ. ბრწყინვალე შეფასებები მაქვს გაგონილი ეკონომიკის მინისტრზე, მაგრამ დღეს ეს ადამიანი ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ მის მის გონებრივ შესაძლებლობებში უკვე ეჭვი შეგეპარება! ლარის კურსის კატასტროფა თურმე ლირის ბრალი ყოფილა. მე არ მჯერა, რომ ეს კაცია ამ განცხადების ავტორი. ეს შეთანხმებულია სადღაც ზემოთ! შიგნითაც სერიოზული წინააღმდეგობებია.

***– გუნდშია დაპირისპირება?***

– ცალ-ცალკე გუნდებად მოიაზრებიან. ენერგეტიკის მინისტრის გუნდი ცალკე განიხილება, მეორე მხრივ კვირიკაშვილის გუნდი განიხილება, ასევე ღარიბაშვილსაც თავისი გავლენები შემორჩა. ასე არიან ერთმანეთის ჭამაში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველა შესჩერებია ბიძინა ივანიშვილს. მე დარწმუნებული ვარ, კვირიკაშვილს შესწირავენ ამ სიტუაციას. ზედ მიაყოლებენ ქუმსიშვილსაც და გახარიასაც. ეკონომიკურ გუნდს აუცილებლად გაწირავს ბიძინა, იტყვის, რომ ყველაფერი მათი ბრალია, არ ივარგეს.

***– სად არის ბიძინა ივანიშვილი, რატომ არ ჩნდება, რატომ არ რეაგირებს ამ სიტუაციაზე?***

– რატომ გამოჩნდება, რა, გიჟია?! ივანიშვილი ჩაერთვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დაინგრევა ყველაფერი!

***– ფიქრობთ, რომ გაწირავს კვირიკაშვილსა და ეკონომიკურ გუნდს?***

– ჩემი აზრით, გაწირავს, რადგან არანაირი შანსი სიტუაციის გამოსწორებისა არ არსებობს. სამწუხარო ის არის, რომ თუ ესენი წავლენ, შემცვლელიც არავინ ჩანს. პოლიტიკური ველი აბსოლუტურად გაანადგურა ივანიშვილმა! სრულიად მოსპო.



# სოსო ცინცაძე: „სირიაზე განცხადებით რუსეთს გავაღიზიანებთ“

**ნათია ხურცილავა**



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის მიერ სირიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით მისაღებ განცხადებაზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, ნაციონალური მოძრაობა აქტიურად აყენებს საკითხს, რომ სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პარლამენტმა მიიღოს დადგენილება, რასაც პატრიოტთა ალიანსი აპროტესტებს. ინაშვილი აცხადებს, რომ ნაციონალები სადღაც გვითრევენ. რეალურად როგორი უნდა იყოს მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია?***

– რასაკვირველია, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებული უნდა ვიყოთ, რადგან ჩვენ სხვა პლანეტაზე არ ვცხოვრობთ. ახლო აღმოსავლეთი გეოგრაფიულად არც ისე შორს არის. თანაგრძნობა, რასაკვირველია, უნდა იყოს მსხვერპლისადმი. მაგრამ ვინ არის საქართველო? საქართველო არის ერთი პატარა ღარიბი ქვეყანა, მაგრამ ქვეყანა, რომელსაც ძალიან უნდა, ნატოს წევრი სახელმწიფო გახდეს. არსებობს რამდენიმე ფორმა თანაგრძნობის. რაც შეეხება ქვეყნის პარლამენტის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებას, ეს უკვე არის პოლიტიკური ჟესტი. ნებისმიერი პოლიტიკური ჟესტის ეფექტურობა შედეგით იზომება. რა შედეგი მოჰყვება ამ ჟესტს ჩვენი ქვეყნისთვის? ეს არის საინტერესო.

***– და რა მოჰყვება?***

– ამ განცხადებას მსოფლიოს მხოლოდ ერთ ქალაქში მიაქცევენ ყურადღებას.

***– მხოლოდ მოსკოვში?***

– დიახ, მხოლოდ მოსკოვში. სამწუხაროდ, არც ვაშინგტონში, არც ლონდონში, არც პარიზში და არც ბერლინში ეს განცხადება არავის დააინტერესებს. თქვენ წარმოიდგინეთ, არც თვითონ დამასკოში მიაქცევენ ყურადღებას.

***– რუსეთის ფაქტორი არ არის გასათვალისწინებელი? ამაზე ახდენს ნაციონალური მოძრაობა აპელირებას.***

– გასაგებია, მაგრამ უფიქრია იმაზე ვინმეს, თუ რა შედეგი შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყვეს?! მე ვშიშობ, რომ მხოლოდ მოსკოვში დაიმახსოვრებენ ამ განცხადებას, რასაც მთელი თაიგული მოჰყვება.

***– თაიგულში რას გულისხმობთ?***

– თვითმფრინავიდან დაშენილ ბომბებს ნამდვილად არა და თბილისის ასე ღიად დაბომბვას არა, როგორც ახლა ალეპოს უშენენ, მაგრამ მავთულხლართების თემა კვლავ გააქტიურდება, კვლავ დაიწყება სამხედრო თანამშრომლობაზე საუბარი აფხაზებთან და ოსებთან და ა.შ. ეს გარანტირებულად მოხდება. დიპლომატიაში არსებობს დიპლომატიური ნაბიჯი, რომელიც იზომება პლუსითა და მინუსით. რამდენი პლუსი მოჰყვება ამ განცხადებას და რამდენი მინუსი, ეს უნდა დათვალოს ხელისუფლებამ და ისე იმოქმედოს.

***– პარლამენტმა ეს საკითხი გადადო, თუმცა თქვა, რომ აუცილებლად მიუბრუნდება.***

– მე ვურჩევდი პარლამენტს, დაითვალოს პლუსები და მინუსები და ისე იმოქმედოს. რა აჯობებს ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის? აქედან გამომდინარე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. მე არ ვამბობ, რომ საერთოდ გაჩუმდეს, ასე ნამდვილად არ გამოვა, მაგრამ სწორი დიპლომატია იმაში მდგომარეობს, რომ შენმა ნაბიჯმა არ უნდა ავნოს შენს ქვეყანას, პირიქით, ყველა ნაბიჯი შენი ქვეყნის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

***– მიიღებს ამ დადგენილებას თუ განცხადებას პარლამენტი?***

– არა მგონია, რომ მიიღოს. თუ მიიღებს, მაშინ ამას მხოლოდ ერთი პარტია გამოიყენებს.

***– ნაციონალური მოძრაობა?***

– დიახ, და ეს იქნება მხოლოდ საშინაო მოხმარებისთვის – „ქართულ ოცნებას“ არ უნდოდა რუსეთის წყენინება, მაგრამ ჩვენ მივაღებინეთ, ჩვენ ვდგავართ დანარჩენი ცივილიზებული მსოფლიოს გვერდით, მაგრამ ეს მხოლოდ რიტორიკა იქნება და სხვა არაფერი. ეს არაფერს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ეს არ იქნება საერთაშორისო თანამეგობრობაში გარღვევა ჩვენი მხრიდან. რაც შეეხება რუსეთის დამოკიდებულებას, ამით ჩვენ შეიძლება სერიოზული გაღიზიანება გამოვიწვიოთ.

რიშელიედან მოყოლებული, დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი არის ჯანსაღი სახელმწიფო ეგოიზმი. დიდი ბრიტანეთი სწორედ ამ პრინციპით ცხოვრობდა და ამიტომაც იყო ის წარმატებული. პოლიტიკაში, როგორც ცნობილია, მუდმივი მეგობრები არ არსებობენ, არსებობს მუდმივი ინტერესები. სწორედ აქედან გამომდინარე უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ.

ჩვენ, როგორც გავიგე, 1.000-მდე სირიელი ლტოლვილი მივიღეთ და არა 80, როგორც გავრცელდა ინფორმაცია. ვფიქრობ, რომ მორალური ვალდებულება მოხდილი გვაქვს, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ლარი ყოველდღე ანტირეკორდს ხსნის.

***– საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ქაცარავამ განაცხადა, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს დახმარების გაწევის მიზნით.***

– სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობისთვის შეიძლება გამაღიზიანებელიც კი აღმოჩნდეს პარლამენტის ისეთი მაღალი ტრიბუნიდან გამოსვლა და იმის ძახილი, რომ ყველაფერს ვაკეთებთ, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სირიელი ლტოლვილებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გასაგზავნად. არ გამოვრიცხავ, რომელიმე გამწარებული დედა, რომელსაც ამ ყინვაში შვილებისთვის ლუკმაპური ვერ უშოვია და ბავშვები ქუჩაში ეყინება, მიუვარდეს იმ დეპუტატებსა თუ ჩინოვნიკებს, რომლებსაც არაფერი ენანებათ თითქოს და ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რა დღეში არიან ჩვენი მოქალაქეები.

არავინ არ მინდა, ისე გამიგოს, თითქოს მე თანაგრძნობისგან შორს ვიყო ან ჰუმანიტარული დახმარების არსის არ მესმოდეს. არა, ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენ არ ვართ არც შვეიცარია და არც დიდი ბრიტანეთი, რომლებსაც ამოუწურავი ფინანსური რესურსი აქვთ. ნუ შევეცდებით, რომ რომის პაპზე დიდი კათოლიკეები ვიყოთ.

## გიორგი მღებრიშვილი: „დანაშაულის სტატისტიკა გაზრდილი არ არის“



– დანაშაულის სტატისტიკა გაზრდილი არ არის ამ დროის მონაცემებით, დანაშაულის სტატისტიკა გაზრდილი არ არის.

ამის შესახებ შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ჟურნალისტებს შესაბამის საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

– ამ დროის მონაცემებით, დანაშაულის სტატისტიკა გაზრდილი არ არის, მაგრამ ზუსტი ციფრები გვეცოდინება წლის ბოლოს, როდესაც დავითვლით მუხლობრივად და იმ მეთოდოლოგიით, რომლითაც ითვლება სტატისტიკური მონაცემები, – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

რაც შეეხება დანაშაულის გახსნის მაჩვენებელს, როგორც შს მინისტრმა აღნიშნა, ეს მაჩვენებელი საკმაოდ გაზრდილია.

– ბალასტად ვთვლი ისეთ ადამიანებს, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ პოლიციის მუნდირს, ჩირქს სცხებენ მას ბალასტად ვთვლი ისეთ ადამიანებს, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ პოლიციის მუნდირს, ჩირქს სცხებენ მას, – ასე განმარტა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა გუშინ მის მიერვე გაკეთები განცხადება, რომ „სამინისტრო ბალასტისგან გათავისუფლდება“.

მინისტრის თქმით, 40-ათასიან კოლექტივში, შესაძლოა, ასეთი ადამიანები იყვნენ.

მღებრიშვილის თქმით, მის განცხადებას არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა.

– მე ვიხმარე სიტყვა ბალასტი, გიდასტურებთ. დიახ, მე ბალასტად ვთვლი ისეთ ადამიანებს, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ პოლიციის მუნდირს, ჩირქს სცხებენ მას და ასეთ ადამიანებს მე ვუწოდებ ბალასტებს. სწორედ ასეთი ადამიანებისგან იქნება გათავისუფლებული შინაგან საქმეთა სამინისტრო. შესაძლებელია იყვნენ ასეთი ადამიანები, რადგან 40 ათასამდე თანამშრომელი გვყავს და გამორიცხული არ არის. ბალასტში მე ვგულისხმობდი მხოლოდ ასეთ ადამიანებს, – განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, თანამდებობებს შეინარჩუნებენ ის თანამშრომლები, რომლებიც სიცოცხლის და ჯანმრთელობის რისკის ფასად იცავენ ყველას ოჯახების უსაფრთხოებას.

მღებრიშვილის განმარტებით, ასეთი თანამშრომლები არათუ დარჩებიან, არამედ წახალისდებიან კიდეც სისტემაში.

– მე არაფერი არ აღმომიჩენია. განმარტავ, რომ 40-ათასიან კოლექტივში, შესაძლოა, იყვნენ ასეთი ადამიანები და ყოფილა შემთხვევები, როცა ასეთი ადამიანები გამოვლენილა და რა არის გასაკვირი, რომ ჩვენ მათგან გავთავისუფლდეთ? ჩემთვის არის შეურაცხმყოფელი ის, რომ ისეთი ადამიანი, რომელიც შეურაცხყოფს პოლიციას, მუშაობდეს პოლიციაში, – აღნიშნა მღებრიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

## აფხაზურ პარლამენტში ლოთებსა და ნარკომანებს არ შეუშვებენ

**შორენა მარსაგიშვილი**




იმ დროს, როცა ჩვენი დეპუტატები მარიხუანასთან მეგობრული ურთიერთობით იწონებენ თავს, აფხაზები თრიაქის მოყვარულებს კანონით უკრძალავენ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას.

თვითმარქვია რესპუბლიკაში საპარლამენტო არჩევნები მომავალი წლის მარტში ჩატარდება. აფხაზები ახალ პარლამენტს ახალი საარჩევნო კოდექსით აირჩევენ. კოდექსში შესატან ცვლილებებს აფხაზეთში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

ცვლილებების თანახმად, დეპუტატობისთვის ყველა ვერ იბრძოლებს. იმისათვის, რომ აფხაზეთის სახალხო კრების წევრობისთვის იბრძოლო, რაღაც მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდე.

– იმ პირებმა, რომლებსაც დეპუტატობის სურვილი აქვთ, გარკვეული მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ. პირი, რომელსაც ნასამართლობა მოხსნილი არა აქვს, არჩევნებში კენჭს ვერ იყრის, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში დეპუტატი ლევონ გალუსტიანი.

მისივე თქმით, კენჭს ვერც ლოთები, ნარკომანები და ტოქსიკომანები იყრიან.

– იმისათვის, რომ პირმა კენჭი იყაროს, მან შსს-დან უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია, რომ არ არის ალკოდამოკიდებული, ნარკომანი ან ტოქსიკომანი, – ამბობს დეპუტატი.

გალუსტიანის განმარტებითვე, აქამდე აფხაზურ კანონმდებლობაში ასეთი აკრძალვები არ იყო.

დეპუტატს ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად მიაჩნია ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ პარტიებს ყველა საარჩევნო ოლქში ექნებათ კანდიდატის წარდგენის უფლება.

– აქამდე არსებული კანონმდებლობით პოლიტიკურ პარტიებს კანდიდატების წარდგენის უფლება მხოლოდ საარჩევნო ოლქების მესამედ ნაწილში ჰქონდათ. აფხაზეთში 35 საარჩევნო ოლქია, პოლიტიკურ პარტიებს კი მხოლოდ 11 ოლქში შეეძლოთ კანდიდატების წარდგენა, – აღნიშნავს გალუსტიანი.

* * *

საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით, აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნები უფრო მშვიდად ტარდება. 2017 წლის არჩევნები, შესაძლოა, გამონაკლისი იყოს.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, ოპოზიცია სიტუაციას აუცილებლად აურევს. წინა კვირას ისინი პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ თანამდებობებით დააშოშმინა.

გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნებისთვის ექსპრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბიც გააქტიურდება, რომელიც მოსახლეობაში მაინც პოპულარობით სარგებლობს.

## ვიქტორ დოლიძე: „ქამარი შემოვიჭირე, ისევე, როგორც ყველა სამინისტრომ“




– ქამარი შემოვიჭირე, ისევე, როგორც ყველა სამინისტრომ.

ასე უპასუხა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემ ჟურნალისტების შეკითხვას, რა ფორმით გეგმავს მისი უწყება ხარჯების შემცირებას.

ვიქტორ დოლიძის თქმით, შემცირება საკადრო რესურსს არ ემუქრება, თუმცა იგეგმება ადმინისტრაციულ-ტექნიკური ხარჯების შემცირება.

– შიდა რესტრუქტურიზაცია უკვე განხორციელდა. ერთი მოადგილე ფარავს ნატოს და ე.წ. სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებას, მეორე – ევროკავშირს და დახმარების სამსახურებს, ხოლო მესამე მოადგილე – საზოგადოებასთან ურთიერთობას და ადმინისტრაციულ სამსახურებს.

ძალიან ბევრი პროფესიონალი მუშაობს ჩვენთან და იმის აუცილებლობა, რომ ვინმე სამსახურიდან გავუშვა, არ ყოფილა.

შესაბამისი სამსახური უკვე ითვლის ხარჯებს. მეტი აქტივობა, მეტი საქმე და ნაკლები ხარჯები ცოტა რთული გასაკეთებელია, მაგრამ მოგვიწევს, რადგან ფეხი უნდა ავუწყოთ ჩვენი თანამოქალაქეების უკეთესი ცხოვრების მოწყობას. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ 10%-ით შემცირებული ადმინისტრაციული ხარჯები, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## ირაკლი სესიაშვილი: ვისაც თავდაცვის სამინისტროდან გაათავისუფლებენ, ადეკვატური კომპენსაცია უნდა ჰქონდეთ“

– სადარაჯოზე ვართ, რომ ადამიანებს, რომელსაც თავდაცვის სამინისტროდან გაათავისუფლებენ, ჰქონდეთ ადეკვატური კომპენსაცია და ასევე პრიორიტეტული დასაქმების შესაძლებლობები.

ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა.

როგორც სესიაშვილმა აღნიშნა, თავდაცვის სამინისტროში არსებული სტრუქტურებისა და შესაბამისი წოდების მიხედვით თანამდებობები არ შეესაბამება სტანდარტებს.

– ეს იცოდა ყველა მინისტრმა და, სამწუხაროდ, ვერ ხდებოდა იმ სწორი ნაბიჯის გადადგმა, რომ ამ უწყებაში სერიოზული ოპტიმიზაცია მომხდარიყო. ვართ იმის სადარაჯოზე, რომ ადამიანებს, რომელსაც გაათავისუფლებენ, მათ ჰქონდეთ ადეკვატური კომპენსაცია და ასევე პრიორიტეტული დასაქმების შესაძლებლობები, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

# დაიმტკიცეთ განვადება წინასწარ

## 10 წამში

შეავსეთ მარტივი ფორმა და გაიგეთ რა ლიმიტის ფარგლებში
დაგიმტკიცდებათ განვადება

ეწვიეთ ჩვენს პარტნიორ მაღაზიებს და
შეავსეთ თქვენი პირადი ინფორმაცია
განვადების სტენდზე



# საქართველო და სომხეთი ერთიან ტურისტულ პაკეტს ქმნიან

## პროექტს, შესაძლოა, ირანიც შეუერთდეს



სომხეთისა და საქართველოს ტურისტული სფეროს წარმომადგენლებმა ერთიანი ტურისტული პაკეტის შექმნა და რეგიონული ტურიზმის განვითარება განიხილეს.

ამის შესახებ ინფორმაციას სომხური სააგენტო „არკა“ ავრცელებს.

სააგენტოს ინფორმაციით, გასულ კვირას ერევანში ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების შეხვედრაზე განხილულ იქნა ერთიანი სომხურ-ქართული ტურისტული პროდუქტის შექმნის შესაძლებლობა.

სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტის უფროსის მეხაკ აპრესიანის თქმით, თანამშრომლობა საქართველოსთან როგორც სახელმწიფოებრივ, ისე კერძო სექტორის დონეზე ყოველწლიურად ღრმავდება, თუმცა ეს საკმარისი არ არის და თანამშრომლობა უნდა გააქტიურდეს.

– უკვე გვაქვს შეთანხმებები საქართველოს ტურიზმის ნაციონალურ ადმინისტრაციასთან, – განაცხადა აპრესიანმა და დასძინა, რომ ასევე მიღწეულია შეთანხმება ირანთან ტურისტული პაკეტის ფორმირებაზე სამმხრივ ფორმატში – სომხეთს, საქართველოსა და ირანს შორის.

* * *

„კომერსანტი“ ამ თემასთან დაკავშირებით ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დაუკავშირდა.

როგორც ადმინისტრაციაში განაცხადეს, საქართველოდან გაცნობით ტურში მათთან ერთად ასოციაციების წევრი კომპანიები იმყოფებოდნენ. მათი თქმით, ქართული დელეგაციის ვიზიტი დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტის მეტად განვითარებას ემსახურებოდა.

– სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტის მოწვევით, საქართველოდან გაცნობით ტურში იმყოფებოდა სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2 თანამშრომელი, ასოციაციების წევრი კომპანიები და ჟურნალისტები, – განაცხადეს ადმინისტრაციაში.

ქართული დელეგაციის ვიზიტი ემსახურებოდა დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტის კიდევ უფრო განვითარებას, კერძო სექტორს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისა და კომბინირებული ტურების შემუშავებას.

– შეხვედრებზე განიხილებოდა რეგიონული ტურიზმის განვითარების პრობლემები და სომხურ-ქართული ერთიანი ტურპროდუქტის შექმნის შესაძლებლობები, – განაცხადეს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში.

რა ეღირება ერთიანი ტურისტული პაკეტი?

ამ კითხვაზე ადმინისტრაციაში გვიპასუხეს, რომ ამ საკითხზე ვერ ისაუბრებდნენ, რადგან ისინი კომერციული საქმიანობით არ არიან დაკავებული.

მათი განცხადებით ვიზიტის დროს მიმდინარეობდა საუბარი სომხეთ-საქართველო-ირანის ტურისტული პაკეტების წახალისებაზე, რომელიც გულისხმობს როგორც საქართველოდან, ასევე სომხეთიდან კომბინირებული ტურების გამოჩენას სამივე ქვეყნის მიმართულებით.

ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე ნატა კვაჭანტირაძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ შეხვედრაზე საქართველოდან ასოციაციის წევრი 7 კომპანია იყო ჩასული.

– ტურიზმის ასოციაციის წევრები სომხეთში გასულ კვირას საინფორმაციო ტურში იყვნენ მიწვეულები. ორ ქვეყანას შორის შეხვედრას ტურისტული პროდუქტების გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, რომელიც სამომავლოდ, როგორც საქართველო-სომხეთის კომბინირებული ტური, ისე გაიყიდება.

ჩვენი ასოციაციის წევრი 7 კომპანია მონაწილეობდა. ვიცი ის, რომ უნდა შეიქმნას ტურისტული პროდუქტები, თუმცა რა ტიპის პროდუქტებზეა საუბარი, ჩვენს ადმინისტრაციაში ამ ეტაპზე არ იციან. ახალი ტურისტული პროდუქტების შეთავაზების ფორმები დაიხვეწება. ამჯერად მხოლოდ საქართველო-სომხეთის პაკეტებზეა საუბარი და ამ ფაქტს დადებითად ვაფასებ, – განაცხადა ნატა კვაჭანტირაძემ.

**ლიკა გურაბანიძე, კომერსანტ.გე**

## „მოგების გადასახადის რეფორმა და აქციზის მატება ერთმანეთს არ აბათილებს“



– მოგების გადასახადის რეფორმა და აქციზის მატება ერთმანეთს არ აბათილებს.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილმა გადაცემა „ბიზნესკონტაქტში“ განაცხადა.

მინისტრის მოადგილე განმარტავს, რომ მოგების გადასახადის რეფორმით აქცენტი ეკონომიკურ ზრდაზე გაკეთდა, აქციზის ზრდით კი ფისკალური პოლიტიკის დაბალანსება მოხდება.

მისივე მტკიცებით, 2017 წლის ბიუჯეტი მაკროეკონომიკურ ჭრილში დაბალანსებულია. დაგეგმილია 4%-იანი ეკონომიკურ ზრდა, ინფლაციის მაჩვენებელიც ამავე ნიშნულზე უნდა იყოს.

ცოტნე ყავლაშვილის განცხადებით, საქართველო რეგიონში ეკონომიკის ზრდის კუთხით მოწინავეა და მთავრობის მიზანია, მომავალ წელსაც უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა, შემცირდეს უმუშევრობა და გაიზარდოს დასაქმება.

– 500 მილიონი ლარის ინვესტირება ბიზნესში არის უპრეცედენტო კონტრიბუცია სამუშაო ადგილები შესაქმნელად, – აცხადებს ყავლაშვილი.

მისივე მონაცემებით, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 11 თვის პარამეტრების მიხედვით შესრულება არის 89,2%, რაც არის ძალიან მაღალი მაჩვენებელი. მიმდინარე წელს ბიუჯეტის ხარჯვის მიმართულება იყო თანაზომიერი და დეკემბერში უკეთესი მაჩვენებელი იქნება. კერძოდ, 100 მილიონი გადაჭარბებით შესრულდება საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელი და წლის ბოლოს ბიუჯეტი გეგმურ მაჩვენებელთან ანუ 100%-იან შესრულებასთან ძალიან ახლოს იქნება.

## პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე: „არის მექანიზმი, რომ პურ-პროდუქტებზე ფასები არ გაიზარდოს“



– შეშინებული ვარ, რომ პურ-პროდუქტების ფასი არ გაიზარდოს.

ამის შესახებ თბილისის პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძემ განაცხადა.

დოლიძე ამ დროისთვის ვერ საუბრობს, უნდა ველოდოთ თუ არა ამ მიმართულებით ფასების ზრდას, თუმცა აცხადებს, რომ ფასებთან დაკავშირებით პურ-პროდუქტების ბიზნესის წარმომადგენლები ამ საკითხზე „დაფიქრებული არიან“.

– ჩვენც დაფიქრებული ვართ. კომენტარს, გაძვირდება თუ არა, ვერ გავაკეთებთ. ფქვილიც გაძვირდა. შეშინებული ვარ, რომ არ გაიზარდოს პურ-პროდუქტების ფასი. ფქვილი დაახლოებით 1 თვეა, 36-დან 40 ლარამდე გაძვირდა. საუბრობენ, რომ ახალი წლიდან კიდევ მოიმატებს. გუშინ სამმა კომპანიამ დამირეკა ფასთან დაკავშირებით, რომ იქნებ ვუთხრათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რა მდგომარეობაში ვართო, – განაცხადა დოლიძემ.

მისივე თქმით, არის მექანიზმები, რომლებითაც შესაძლებელია, რომ პურ-პროდუქტებზე ფასები არ გაიზარდოს.

– არის მექანიზმები. უბრალო მაგალითს გეტყვით. აზერბაიჯანში დღგ შეუჩერეს პურ-პროდუქტების მწარმოებლებს. ჩვენთან სატრანსპორტო ხარჯებიც მაღალია. შესაძლებელია დარეგულირება ისე, რომ მტკივნეული შედეგები არ მოჰყვეს, – აღნიშნა დოლიძემ.

მისივე თქმით, ყოველთვის ილანძღებიან პურის დამამზადებლები, ხოლო ფქვილის მწარმოებლები არასდროს ჩანან.

– წინა პლანზე დგას პურის დამამზადებელი. ფქვილის დამამზადებელი არასდროს ჩანს. ისინი ძალიან ჩუმად უმატებენ ამ ფასებს და არ ჩანან, ჩვენ კი ვილანძღებით. ეს უნდა დასრულდეს, – აღნიშნა დოლიძემ.

**ბიპიენი**

## ბორჯომ-ბაკურიანის მიმართულებით განახლებული მატარებელი ივლის

ბორჯომ-ბაკურიანის განახლებული მატარებელი, „კუკუშკა“, მგზავრებს 25 დეკემბრიდან მოემსახურება.

როგორც ბიზნესპრესნიუსს საქართველოს რკინიგზაში განუცხადეს, მატარებელს კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა. სამუშაოები კი თბილისის ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ განახორციელა.

– რკინიგზა მუშაობს, რომ ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭოს. ამის გამო, მაქსიმალურად ვეცადეთ მატარებლისთვის პირვანდელი სახე შეგვენარჩუნებინა. სამუშაოების შედეგად, მატარებლის ოთხივე ვაგონი გარემონტდა, – აღნიშნა დაჩი ცაგურიამ.

მისივე ცნობით, თითო ვაგონი 23 მგზავრზეა გათვლილი.

ბორჯომი-ბაკურიანის სარკინიგზო ხაზი საქართველოს რკინიგზის ერთადერთი ვიწროლიანდაგიანი მონაკვეთია, რომელიც ბორჯომსა და ბაკურიანს შორის, ბორჯომ-ხარაგაულის უბანზე 1902 წელს გაიხსნა.

ხაზზე დიდი ხნის მანძილზე მცირე ორთქლმავალი მოძრაობდა, რომელიც 1967 წლიდან ელექტრომატარებელმა შეცვალა. თუმცა, მეტსახელი „კუკუშკა“ (ორთქლმავლის რუსული მეტსახელი) ამ ელექტროშემადგენლობასაც შემორჩა.

**ბიპიენი**

## ლარი დოლართან გამყარდა, ევროსთან გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გამყარდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.7710 ლარია. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.7841 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0136 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.8999 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.8938 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0061 ლარი შეადგინა.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

## თიბისი ბანკი ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანიისგან 55 მილიონი დოლარის ფინანსურ რესურსს მიიღებს




თიბისი ბანკმა და ნიდერლანდების განვითარების ფინანსურმა კომპანიამ ახალ სასესხო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის თანახმად, ქართული მხარე 55 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის ფინანსურ რესურსს მიიღებს.

აღნიშნული რესურსი თიბისი ბანკს საშუალებას მისცემს, აქტიურად განაგრძოს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება საქართველოში. სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, თიბისი ბანკი მიიღებს 25 მილიონ დოლარს 7 წლის ვადით, ხოლო თიბისის შვილობილი კომპანია, ბანკი რესპუბლიკა – 30 მილიონ დოლარს 5 წლის ვადით.

ბანკი რესპუბლიკა ამ თანხას წელსვე მიიღებს, ხოლო თიბისი ბანკი – 2017 წლის დასაწყისში.

**ვახტანგ ბუცხრიკიძე, თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი:**

– მოხარული ვარ, რომ ვაგრძელებთ თანამშრომლობას ნიდერლანდების განვითარების ფინანსურ კომპანიასთან. ამ რესურსების საშუალებით თიბისი ბანკი შეძლებს, კიდევ უფრო გაამყაროს პოზიცია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესსეგმენტში და გაზარდოს ქართული ეკონომიკისთვის ამ მნიშვნელოვანი სექტორების დაფინანსება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოხდება ამ თანხის დედოლარიზაცია და მისი ლარში გადაყვანა. სწორედ ახლა მუშავდება ეს საკითხი და მალევე დარეგულირდება. გარდა ამისა, ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანია ჩვენი დიდი ხნის პარტნიორია, რომელიც გვერდით ჯერ კიდევ ურთულეს პერიოდში, 2008-09 წლებში დაგვიდგა და გახდა ჩვენი აქციონერი. ამის გარდა, ეს თანამშრომლობა ერთჯერადი არ იქნება.

**მათაის ლაბოუნი, ნიდერლანდების განვითარების ფინანსური კომპანიის სამოქალაქო საქმეების მენეჯერი:**

– ჩვენი კომპანიისთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ ვაგრძელებთ თიბისი ბანკთან თანამშრომლობას მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად. თიბისი ბანკი ქართული ფინანსური სექტორის წამყვანი ინსტიტუტია და მოხარული ვართ, რომ ჩვენი 10 წლიანი თანამშრომლობა მესამე სექტორის გასაძლიერებლად წარმატებით გრძელდება.

ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანია ერთ-ერთი ყველაზე დიდი ევროპული ბანკია, რომელიც ხელს უწყობს კერძო სექტორის გაძლიერებას განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. კომპანია ძირითად აქცენტს სამ სექტორზე აკეთებს: ფინანსური ინსტიტუტები, ენერგეტიკა და აგრობიზნესი, საკვები და წყალი. ბანკის მთლიანი საინვესტიციო პორტფელი შეადგენს 7,6 მილიარდ ევროს.

თიბისი ბანკი უკვე 10 წელზე მეტია, რაც ნიდერლანდების განვითარების კომპანიასთან თანამშრომლობს. ამ პერიოდის განმავლობაში ხელი მოეწერა 10 სასესხო ხელშეკრულებას 150 მილიონი დოლარის ჯამური მოცულობით.

# ზამთარი და კვლავ ვირუსები

მოსახლეობის ავადობა რესპირატორული და სხვადასხვა ინფექციებით განსაკუთრებით მატულობს წელიწადის ცივ პერიოდში. ამ დროს ინფექციების 80%-ზე მეტი ვირუსებითაა გამოწვეული, მაშინ, როდესაც ზაფხულში უმეტესად ბაქტერიული ინფექციები გვხვდება. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, ყველას ებადება კითხვა: **რა არის ვირუსი და რომელ დაავადებას იწვევს?**

ამ თემაზე გვესაუბრება **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, სეფსისის და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის კლინიკური დირექტორის მოადგილე, ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ექიმი ინფექციონისტი მალვინა ჯავახაძე:**



— ვირუსი (ლათ. viruse— შხამი) გარემოში ფართოდ გავრცელებული მიკროსკოპული და არაუჯრედული აგებულების ნაწილაკია, ამიტომ სიცოცხლე და გამრავლება შეუძლია მხოლოდ სხვა ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებში. კერძოდ, იჭრება ადამიანის, ცხოველის ან მცენარის ორგანიზმში და ბევრ საშიშ დაავადებას იწვევს, ამიტომ განიხილება, როგორც უჯრედის პარაზიტი.

სადღეისოდ ცნობილია 3000-ზე მეტი სახეობის ვირუსი, მათგან ნახევარს ადამიანისათვის ზიანის მოტანა შეუძლია. ყველაზე ხშირი რესპირატორული ვირუსული ინფექციებია, რომელსაც იწვევს ათეულობით სახეობის ვირუსი (გრიპი, რინო, კორონა, ბოკა, პარაგრიპი, ადენო და სხვა). საქართველოში მიმდინარე წლის მე-40 კვირიდან შემდგომი წლის მე-16 კვირამდე ეს ვირუსები ცირკულირებენ და იწვევენ დაავადებებს, უპირატესად ბავშვებში. ამრიგად, თუ ბავშვი წლის განმავლობაში 6-7 ჯერ სიცხიანობს, ეს ითვლება ჩვეულებრივად და არა საგანგაშოდ, საჭიროებს მხოლოდ ექიმის და მშობლის ყურადღებას.

ასევე ვირუსული წარმოშობისაა ბავშვთა ასაკის ინფექციების უმრავლესობაც (წითელა, წითურა, ჩუტყვავილა); ჰერპესვირუსული ინფექციები (მარტივი და გენიტალური ჰერპესი, ინფექციური მონონუკლეოზი); ჰეპატიტები (A-დან G-მდე); პაპილომავირუსული ინფექცია; ვირუსული გასტროენტერიტები (როტავირუსი, ნოროვირუსი).

***— როგორ და რა საშუალებით ვებრძოლოთ ვირუსულ ინფექციებს?***

— სამწუხაროდ, ხშირად ცხელების გახანგრძლივების და ინტოქსიკაციის დროს იყენებენ ანტიბიოტიკებს. თვლიან, რომ მხოლოდ ესენი ებრძვიან ინფექციებს. ვირუსზე ანტიბიოტიკი არ მოქმედებს. პირიქით, ახანგრძლივებს დაავადებას. გრიპის და გაციების დროს არ უნდა მიიღოთ ანტიბიოტიკი! ვირუსული ინფექციების დროს მკურნალობა სიმპტომურია და პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ეფექტურია არასპეციფიკური ანტივირუსული თერაპია.

***— თქვენს პრაქტიკაში ყველაზე ხშირად რომელი არასპეციფიკური (სხვადასხვა ტიპის ვირუსებზე მოქმედების) ანტივირუსული პრეპარატი გამოგიყენებიათ?***

— ბოლო რამდენიმე წელია, საკმაოდ ხშირად და ეფექტურად ვიყენებთ ინოზინპრანობექსს, რომელსაც აქვს ორმაგი მოქმედება: პირდაპირი ანტივირუსული და იმუნომოდულაციური. იგი უკავშირდება ვირუსით დაზიანებულ უჯრედს და აფერხებს მასში ვირუსების გამრავლებას. ასევე ააქტიურებს ადამიანის იმუნურ სისტემას სხვადასხვა რგოლის დონეზე და ასე ანადგურებს ვირუსებს. ხელს უწყობს ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების გამომუშავებას და შესაბამისად, დროულ გამოჯანმრთელებას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინფექციების დროს.

საქართველოში ინოზინ-პრანობექსი შემოდის **გროპრინოსინის** (მწარმოებელი „გედეონ რიხტერი", უნგრეთი) სახელწოდებით, როგორც საბავშვო სიროფის, ასევე ტაბლეტების სახით. შესაბამისად, **გროპრინოსინი** გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში (1 წლის ზემოთ). რაც მთავარია, არ ახასიათებს მიჩვევა და არ ვითარდება მის მიმართ რეზისტენტობა. **გროპრინოსინის** მიღება რეკომენდებული და უსაფრთხოა ცხელების ყველა ეპიზოდის დროს. ხშირად მოავადე და სუსტი იმუნური სისტემის მქონე ადამიანებში **გროპრინოსინის** მიღება მნიშვნელოვნად ამცირებს ავადობის სიხშირეს.

***— რომელი ინფექციების დროს ინიშნება გროპრინოსინი?***

— მწვავე რესპირატორული ვირუსული (გრიპი, პარაგრიპი, რინოვირუსი, ადენოვირუსი) ინფექციები, წითელა, ჰერპესვირუსული ინფექციები (ინფექციური მონონუკლეოზი, მარტივი ჰერპესი სახის, კანის, პირის ღრუს ლორწოვანის, ოფთალმოჰერპესი, ჩუტყვავილა, სარტყლისებრი ლიქენი), ადამიანის პაპილომავირუსი. ინიშნება როგორც ნორმალური, ასევე დაქვეითებული იმუნური სტატუსით პაციენტებში. **გროპრინოსინი** მიიღება შიგნით ჭამის შემდეგ. შესაძლებელია დაღეჭვა ან წყალში გახსნაც. დოზა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია პაციენტის ასაკზე და დაავადების სიმძიმეზე, რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად. მწვავე პერიოდში ინიშნება 10-14 დღიანი, ხოლო გახანგრძლივებულ შემთხვევაში 1-6 თვიანი კურსი. **გროპრინოსინი** გამოიყენება როგორც მკურნალობის, ასევე პროფილაქტიკის მიზნით. ოჯახში ან კოლექტივში ვირუსის არსებობის შემთხვევაში, **გროპრინოსინი** დაცვის საუკეთესო საშუალებაა ბავშვებსა და მოზრდილებში. მნიშვნელოვანია მკურნალობის დროული დაწყება (დაავადების 1-2 დღეს) და დანიშნულების სრულყოფილად შესრულება.

**გროპრინოსინი** კარგად გადაიტანება. პრეპარატი არ გამოიყენება 1 წლამდე ასაკში, ორსულებში, ლაქტაციის პერიოდში, შარდკენჭოვანი დაავადების და პოდაგრის მქონე პირებში.




# საგამოძიებო სამსახურმა 53 აფთიაქის 4 ხელმძღვანელი დააკავა

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ფსიქოტროპული მედიკამენტებით მოვაჭრე 53 აფთიაქის 4 ხელმძღვანელი დააკავა.

საქმე ეხება მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემის სისტემატურ ფაქტს, მათ შორის არასრულწლოვნებზე. საქმე ეხება ასევე სახელმწიფოს წინაშე არსებული დიდი ოდენობის დავალიანების გადახდისთვის თავის არიდებას, რომელიც 4 მილიონ ლარს აჭარბებს. დაკავებულებს 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

დაკავებულების ოჯახის წევრები აცხადებდნენ, რომ მათ ახლობლებს დავალიანება ერიცხებოდათ, თუმცა ყველა მათგანს ჯარიმა შემოსავლების სამსახურში გასაჩივრებული ჰქონდათ.

– იყო დავალიანებები, რომლებსაც იხდიდნენ და გასაჩივრებაზე ჰქონდათ შეტანილი ბოლო 2 წელია. ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მოვიდნენ, დაადეს ხელბორკილები და აიყვანეს, – განაცხადა დაკავებულების ახლობელმა იზა გულუამ.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოში მოქმედ და ავტორიზებულ აფთიაქებში, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული, მათ შორის ფსიქოტროპული მედიკამენტების შესაბამისი რეცეპტის მოთხოვნის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე, სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს" მიერ ხორციელდება აფთიაქის დაჯარიმება ადმინისტრაციული წესით.

სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ავტორიზებული ფსიქოტროპული აფთიაქის ხელმძღვანელი პირები მათ მიერ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სისტემატურად აგრძელებდნენ მედიკამენტების შესაბამისი რეცეპტის გარეშე რეალიზაციას მოქალაქეებზე, მათ შორის არასრულწლოვან პირებზე, რითაც ხელს უწყობდნენ „სააფთიაქო ნარკომანიას" და საფრთხეს უქმნიდნენ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დადგენილია, რომ სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს" მიერ დაჯარიმებული ავტორიზებული აფთიაქების ხელმძღვანელი პირები არ იხდიდნენ




დაკისრებულ ადმინისტრაციულ ჯარიმას და უკვე არსებული საჯარიმო ვალდებულებებისთვის თავის არიდების მიზნით, მათთან დაკავშირებული ცალკეული პირების სახელზე, უმეტეს შემთხვევაში იმავე სავაჭრო ობიექტზე არეგისტრირებდნენ ახალ შპს-ებს, რომელთა სახელზეც თვალთმაქცური და მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე, გადაჰქონდათ დაჯარიმებული აფთიაქების ქონება და სასაქონლო მარაგები.

შესაბამისად, დაჯარიმებული ავტორიზებული აფთიაქის ხელმძღვანელი პირები ჯარიმის გადახდის გარეშე, ახალი შპს-ების სახელით, მასშტაბურად აგრძელებდნენ დიდი ოდენობით ფსიქოტროპული წამლების ურეცეპტოდ გაყიდვას, იგივე თანამშრომლებითა და აქტივით, იმავე მისამართებზე.

ბრალდებულებმა სხვადასხვა პირის სახელზე რეგისტრირებული 53 ავტორიზებული აფთიაქების გამოყენებით, თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებებით, თავი აარიდეს სახელმწიფო ბიუჯეტში განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების გადახდას, ხოლო მათ მიერ მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებების დადების გზით, გადამალული ქონების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 4.639.234 ლარი.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2051-ე მუხლის IV ნაწილით და II ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, რათა გამოვლენილ იქნეს სხვა ორგანიზებული ჯგუფები და აღიკვეთოს მათი დანაშაულებრივი საქმიანობა. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

**ნიუპოსტი**

# დავით ოთხმეზურის მკვლელობის საქმეზე ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა

საქალაქო სასამართლომ განზრახ მკვლელობის ბრალდების საქმეზე ბრალდებულ ასლან ბეჟანიძის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა და იგი სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა.



საქმე ეხება 2004 წლის 27 ოქტომბერს თბილისში მომხდარ გახმაურებულ ინციდენტს, როდესაც შელაპარაკებისას სასიკვდილოდ დაიჭრა დავით ოთხმეზური და, მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, საავადმყოფოში გარდაიცვალა.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის არსებითი განხილვისას საქმეში წარმოდგენილ და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით მიიჩნია, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა პირის დამნაშავედ ცნობისთვის. შესაბამისად, სასამართლომ მტკიცებულებათა შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდა კანონით დადგენილი წესით, ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვიტა, – ნათქვამია საქალაქო სასამართლოს ინფორმაციაში.

სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, განაჩენის გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მეშვეობით.

**ინტერპრესნიუსი**

# ბორჯომში პოლიციელმა თავი მოიკლა

ბორჯომში პოლიციელმა სიცოცხლე, სავარაუდოდ, თვითმკვლელობით დაასრულა.

35 წლამდე მამაკაცი პოლიციაში წლების განმავლობაში მუშაობდა.

მან თავი ჩამოიხრჩო.

როგორც მეზობლები ყვებიან, 2013 წელს ის სამსახურიდან გაათავისუფლეს, ხოლო შემდეგ ისევ აღადგინეს.

პოლიციელის თვითმკვლელობის საქმეზე გამოძიება დაიწყო. როგორც ინტერპრესნიუსს შსს-ში განუცხადეს, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.




**ქვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ვახტანგ რჩეულიშვილი: „სასამართლოს გარეშე მაიას სასიკვდილო განაჩენს უსჯიან“





– სასამართლოს გარეშე მაიას სასიკვდილო განაჩენს უსჯიან!

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის მაია რჩეულიშვილის მეუღლე ვახტანგ რჩეულიშვილმა განუცხადა.

როგორც რჩეულიშვილმა აღნიშნა, მოსამართლის არგუმენტი, რომლითაც მან არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, მაია რჩეულიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით, გაუგებარია.

ვახტანგ რჩეულიშვილი გეგმავს, რომ პროკურატურაში შეხვედრა გამართოს და მეუღლის ჯანმრთელობის საკითხზე რამდენიმე კითხვაზე პასუხი მიიღოს.

– აქ საუბარი არ არის უკვე მაიას ღირსებაზე და პატივზე. აქ საუბარია მის სიცოცხლეზე და სიცოცხლეს გაფრთხილება სჭირდება. კაციშვილმა არ იცის მაია დამნაშავეა თუ არა იურიდიულად, რადგან სასამართლო განაჩენი არ არსებობს. პატიმრობაში ყოფნა კი მავნეა მისი სიცოცხლისთვის. ყველაზე ძლიერი სპეციალისტების დასკვნაა, რომ სასწრაფო ზომებია მისაღები, მაგრამ მოსამართლე ამათ ფონზე ამბობს – მათი დასკვნა ჩემთვის გაუგებარია, მე არ ვარ მედიკოსიო. რა ენაზე და ვინ უნდა უთარგმნოს სამედიცინო ენიდან იურისტის ენაზე, არ ვიცი. მათ კვალიფიკაცია არ ჰყოფნიდეთ და მაია ამისთვის იტანჯებოდეს და ეწამებოდეს, ცოტა გაუგებრად მიმაჩნია.

ყველა უყურებს პროკურატურას, მათ შორის სასამართლოც. საქართველოში ყოველთვის ეგრე იყო, რომ სასამართლო პროკურატურას უსიტყვოდ ემორჩილებოდა, მაგრამ დღეს საუბარია ადამიანის სასიკვდილო განაჩენზე. სასამართლოს გარეშე სასიკვდილო განაჩენს უსჯიან.

თუ სიკვდილს აპირებენ, რას გვაწვალებენ? ჩვენ რა, რევოლუციას მოვაწყობთ და იარაღით ციხიდან დავიხსნით თუ რა? რეალურად გამოიტანონ სასიკვდილო განაჩენი და გვეცოდინება, რომ კლავენ, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

მისივე თქმით, „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ჯერჯერობით კვლავ გულის კლინიკაში რჩება.

– ახლა ექიმებმა უნდა გაარკვიონ, რა უფრო საჩქაროა, გული თუ ფილტვი. თუ ფილტვი უფრო საჩქაროა, გადაიყვანენ პროფილურ კლინიკაში, თუ გული, დატოვებენ იქ, სადაც არის და თუ მოუნდათ, საერთოდ ციხეშიც ჩასვამენ, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

„ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის მაია რჩეულიშვილის ადვოკატები, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მათი დაცვის ქვეშ მყოფის 50 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდნენ, თუმცა მოსამართლემ მათი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსეთს დეპორტირებული ლია შიოშვილისთვის 30 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლია შიოშვილი რუსეთის წინააღმდეგ. სტრასბურგის სასამართლომ რუსეთის ფედერაციას ლია შიოშვილის და მისი შვილების სასარგებლოდ 30 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

საქმე ეხება 2006 წელს რუსეთიდან ეთნიკური ქართველების მასობრივად გაძევებას, რა დროსაც რუსმა სამართალდამცავებმა რვა თვის ფეხმძიმე ლია შიოშვილი ოთხ შვილთან ერთად, მოსკოვის ოლქის ქალაქ რუზაში დააპატიმრეს, შემდეგ კი დამამცირებელი ფორმით მატარებლით დაღესტნამდე გამოაძევეს.

უკიდურესად გაწამებულმა ოჯახმა მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში შეძლო ფეხით გადმოევლო დაღესტან-აზერბაიჯანის საზღვარი. 15 დეკემბერს კი გურჯაანის საავადმყოფოში ლია შიოშვილის მშობიარობა უმძიმესი შედეგით დასრულდა. მან ბავშვი მკვდარი გააჩინა.

ლია შიოშვილმა მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სტრასბურის სასამართლოს 2007 წელს მიმართა. სასამართლომ საქმის განხილვა 2011 წლის 31 იანვარს დაიწყო.

2016 წლის 20 დეკემბერს სტრასბურის სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევა დაადგინა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლია შიოშვილის ადვოკატმა ნიკოლოზ ლეგაშვილმა განუცხადა, სასამართლომ დაადგინა, რომ ლია შიოშვილის მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის პირველი და მეორე მუხლი (სიცოცხლის უფლება); მესამე მუხლი (წამების აკრძალვა); ასევე, მეცამეტე მუხლი (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება).

სასამართლომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივნებს უნდა გადაუხადოს 30.000 ევრო არამატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, ამასთან ნებისმიერი გადასახადი, რაც შეიძლება იყოს დაბეგვრას დაქვემდებარებული. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნას სამი თვის განმავლობაში იმ თარიღიდან, რაც მიღებული იქნება საბოლოო გადაწყვეტილება.

კრემლის ანტიქართულ კამპანიას 2006-2007 წლებში, 7.000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქის დეპორტაცია მოჰყვა. აქედან 2.380-მა ქართველმა უცხოელთა განთავსების დროებითი ცენტრები გაიარა, სადაც არაადამიანურ და გაუსაძლის პირობებში უწევდათ ყოფნა.

**კახეთის საინფორმაციო სამსახური**

# „საალმზრდელო დაწესებულებაში, სავარაუდოდ, ბავშვებს შორის სექსუალურ ძალადობას ჰქონდა ადგილი“



სოციალური მომსახურების სააგენტო ერთ-ერთ საალმზრდელო დაწესებულებაში ბავშვებს შორის შესაძლო სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. სააგენტოს ინფორმაციით, დაწესებულებაში, სადაც სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ბავშვებს შორის სექსუალურ ძალადობას, სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი 9 მოზარდი ცხოვრობს.

ბავშვებს შორის შესაძლო სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოსავლენად გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს. სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, სავარაუდო მოძალადე უკვე გაყვანილია დაწესებულებიდან.

– საალმზრდელო დაწესებულებაში სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი 9 მოზარდი ცხოვრობს, რომლებთანაც მუშაობენ სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. სავარაუდო მოძალადე უკვე გაყვანილია დაწესებულებიდან.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო თანამშრომლობენ შსს-სთან და ველოდებით გამოძიების დასრულებას. ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, სამინისტრო დააყენებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხს, – განაცხადეს სოციალური მომსახურების სააგენტოში.

იმის გამო, რომ თემა მძიმე და სენსიტიურია, სააგენტო მოუწოდებს საზოგადოებას „ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე და მათი დაცვის მიზნით – არ მოახდინონ საალმზრდელო დაწესებულებისა და, შესაბამისად, ბავშვების იდენტიფიცირება.

– სახელმწიფო უწყებები მზად არიან, გამოძიების დასრულების შემდეგ დაინტერესებულ პირებს მიაწოდონ სრული ინფორმაცია როგორც თავად ფაქტის შესახებ, ასევე იმ ნაბიჯებზე, რომელიც გამოძიების დასკვნის შემდგომ განხორციელდება, – ნათქვამია განცხადებაში.

**კახეთის საინფორმაციო სამსახური**

# ვლადიმერ პუტინი: „რუსეთი ნებისმიერ პოტენციურ აგრესორზე უფრო ძლიერია“



– ამჟამად რუსეთი ნებისმიერ პოტენციურ აგრესორზე უფრო ძლიერია, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე.

– ჩვენ კიდევ ბევრის გაკეთება მოგვიწევს, თუმცა უკვე დღეს ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ ნებისმიერ პოტენციურ აგრესორზე უფრო ძლიერები ვართ, – თქვა ვლადიმერ პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედროები არ უნდა მოდუნდნენ.

– მინდა, თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, რომ თუ თუნდაც ერთი წუთით მოვდუნდებით, თუ არმიისა და ფლოტის მოდერნიზაციაში თუნდაც ერთ არსებით შეცდომას დავუშვებთ, შეიარაღებული ძალების მომზადებაში სიტუაცია შეიძლება სწრაფად შეიცვალოს და რუსეთი ვერც მოასწრებს ამის შემჩნევას, – აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

**ინტერპრესნიუსი**


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79.**
**ქ. ზესტაფონი, რუსთაველის 158. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**



# განცხადებები

**მომსახურება**

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის,ოსტეოქონდროზის,რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისადანარკომპანიისგანსამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტად ზაზა მჭედლიძე აირჩიეს



საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის დარბაზში გამართულ საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტად ვეტერანი მოფარიკავე, საქართველოს ხმლით მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი და ფედერაციის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი, ზაზა მჭედლიძე აირჩიეს.

ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობაზე ხმის მიცემის უფლების მქონე 55 დელეგატი მონაწილეობდა, რომლებმაც ღია კენჭისყრაზე ერთხმად დაუჭირეს მხარი ზაზა მჭედლიძის კანდიდატურას.

ფედერაციის პრეზიდენტობის კიდევ ერთმა კანდიდატმა, ყოფილმა პრეზიდენტმა არჩილ გოგელიამ საკუთარი კანდიდატურა ხმის მიცემის პროცედურის დაწყებამდე მოხსნა. გოგელია ფედერაციის ახალი პრეზიდენტის პირადი მრჩეველი გახდა.

# შევჩენკო თბილისში ითამაშებს, ჩეფერინი ფინალს დაესწრება




საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ინიციატივით, თბილისში მინიფეხბურთის 2 ტურნირი იგეგმება, რომლებიც პარალელურ რეჟიმში 13-15 იანვარს, ახალ სპორტის სასახლეში გაიმართება.

საგანგებოდ ამ ტურნირისთვის ახალი ხალიჩა დაიგება. პირველში პრო 1 და პრო 2 ლიგების გუნდები ითამაშებენ, რათა ზამთრის შესვენებაზე ტონუსი შეინარჩუნონ. თუმცა, მონაწილეობა სავალდებულო არ იქნება.

მეორე ტურნირი საერთაშორისო იქნება და მასში უცხოური ნაკრებები მიიწვიეს. ოღონდ მონაწილეები კლასიკური ფეხბურთის ვეტერანი ფეხბურთელები იქნებიან.

სფფ-მ მონაწილეობისთვის უეფას, თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის გუნდები მიიწვია, კიდევ ერთი გუნდის ვინაობა მალე დაზუსტდება. უკრაინის ნაკრებს ანდრეი შევჩენკო უკაპიტნებს, ფინალზე კი უეფას პრეზიდენტი ალექსანდრ ჩეფერინი მოიწვიეს.

15 იანვარს ფინალს ჯერ ქართული ტურნირის მონაწილეები გამართავენ, მერე კი – საერთაშორისო ტურნირში გამოვლენილი საუკეთესოები.

# შენგელია იგებს, დიქსონი აგებს

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



შუა კვირაში ქართველი კალათბურთელების გუნდებმა ევროთასებზე გამართეს მატჩები.

გამარჯვებათა სერიას აგრძელებს თორნიკე შენგელიას ბასკონია. ევროლიგაში ვიტორიელებმა ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგეს. ქართველი ფორვარდის გუნდმა თანამემამულე ბარსელონა დაძაბულ ბრძოლაში – 65:62 დაამარცხა.

ქართველ ფორვარდს ბევრი არ უთამაშია. შენგელია მატჩის მე-5 წუთზე ჩაერთო თამაშში და მოედანზე სულ 12 წუთი გაატარა. მან 5 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 პასი მოაგროვა. თორნიკემ 7-დან 2 ორქულიანი და საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

ბასკონიას 9 გამარჯვების წილ 4 მარცხი აქვს და მადრიდის რეალთან და პირეოსის ოლიმპიაკოსთან ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს. მომდევნო მატჩი ვიტორიელებს ათენში პანათინაიკოსთან ელის.

მაიკლ დიქსონის აეკმა ჩემპიონთა ლიგის მორიგი მატჩი სტამბოლში ბეშიქთაშთან გამართა და 14 ქულით – 68:82 დამარცხდა. საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი ათენური გუნდის სასტარტო ხუთეულში იყო და 31 წუთში 10 ქულა, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა. დიქსონმა 6-დან 2 ორქულიანი და 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო.

აეკს 10 ტურში 6 მოგება და 4 მარცხი მოუგროვდა და ჯგუფში მე-3 ადგილამდე დაქვეითდა, ლიდერი კი სწორედ ბეშიქთაშია, რომელსაც 8 გამარჯვება აქვს.

ჩემპიონთა ლიგაში დიქსონის კლუბი მომდევნო მატჩს იტალიაში, სასარის წინააღმდეგ ჩაატარებს.

# კოტე ტულუში: „დინამო ფავორიტია, მაგრამ ტიტულის შენარჩუნებას ვეცდებით“



საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგა საინტერესოდ მიმდინარეობს. გამოიკვეთა 2 გუნდი, რომლებიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ – გასული სეზონის გამარჯვებული ქუთაისი და წლევანდელი სეზონის ლიდერი, 11 ტურის შემდეგ დაუმარცხებელი თბილისის დინამო.

ორივე გუნდს საქართველოს ნაკრების მწვრთნელის, ილიას ზუროსის თანაშემწეები, ირაკლი ხოშტარია (დინამო) და კოტე ტულუში (ქუთაისი) წვრთნიან და, სპეციალისტთა აზრით, მოიგებს ის გუნდი, რომელიც უკეთ გაშიფრავს მეტოქეს.

რა იქნება სეზონის ბოლოს, ამას მოგვიანებით შევიტყობთ, მანამდე სუპერლიგის პირველობასა და ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების შანსებზე კოტე ტულუში გვესაუბრება.

***– გასული სეზონის დასაწყისიდანვე ქუთაისი ლიდერობდა და საქმე ბოლომდე მიიყვანა. წელს უკვე დინამო პირველობს, ამასთან – დამაჯერებლად. რამდენად შესაძლებელი იქნება ტიტულის შენარჩუნება?***

– ვფიქრობ, შემადგენლობის მხრივ ახლა უფრო კარგად დაკომპლექტებული გუნდი გვყავს, თუნდაც ახალი კალათბურთელებიდანაც გამომდინარე. გიორგი ცინცაძე, რომელიც სეზონის წინ დავიმატეთ, ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა. ძალიან გვჭირდებოდა მისნაირი ძლიერი და გამოცდილი გამთამაშებელი. მიხარია, რომ „ბუ“ ჩვენს გუნდში ჩაირიცხა.

გამთამაშებლის პოზიციაზე საქართველოში ამ დონის კალათბურთელის პოვნა ძალიან რთულია. ცინცაძე საქართველოს ნაკრების წამყვანი მოთამაშეა და ქუთაისისთვისაც დიდი სარგებელი მოაქვს. სეზონის დასაწყისში დამატებული სერბი ლეგიონერი დრაგან ტუბაკი ტრავმის გამო ჯერჯერობით გუნდს სათანადოდ ვერ დაეხმარა, მაგრამ მისი ძალიან მეიმედება. ტუბაკის დაბრუნების შემდეგ ფარქვეშ კიდევ უფრო გავძლიერდებით და ეს გამოჩნდა ბათუმთან მატჩშიც.

ვფიქრობ, მთლიანობაში კარგად დაკომპლექტებული და ძლიერი გუნდი ვართ, მაგრამ შარშან ამ პერიოდისთვის უკეთეს ფორმაში ვიყავით. ახლა გარკვეული პრობლემები გვაქვს, რის აღმოფხვრაზეც ინტენსიურად ვმუშაობთ.

მიუხედავად იმისა, რომ წლეულს „დინამოს“ ვერ მოვუგეთ, ჩემს გუნდს ნამდვილად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ დინამოელებს მიმდინარე გათამაშებაში კონკურენცია გავუწიოთ. მაქვს იმედი, რომ ტიტულს შევინარჩუნებთ...

***– შარშანდელისგან განსხვავებით, წელს სათადარიგოებსაც უფრო მეტი სათამაშო დრო ეძლევათ.***

– პირველ რიგში ხარისხი გაიზარდა, თორემ დრო შარშანაც თანაბრად იყო განაწილებული. ყოველთვის ვცდილობ, მაქსიმალურად გამოვიყენო ის რეზერვი, რომელიც გუნდს გააჩნია. არიან კალათბურთელები, რომლებიც ჯერ ბოლომდე არ გახსნილან და გუნდისთვის მეტი სარგებლის მოტანა შეუძლიათ. გიორგი ცინცაძე პირველივე დღიდან ქუთაისის ლიდერად იქცა, მაგრამ ის გუნდში ახალი მოსულია და ყველა მოთამაშესთან ჯერ კიდევ არ გამოუძებნია საერთო ენა. გუნდის შეთამაშებას გარკვეული დრო სჭირდება და მჯერა, რომ ქუთაისი ფორმის პიკს მალე მიაღწევს.

***– სხვა გუნდებზე რას იტყვით, კიდევ ვინ მიგაჩნიათ მიმდინარე სეზონში თქვენს კონკურენტად?***

– ჩვენი და დინამოს შემდეგ ბათუმი და რუსთავი მოდიან, რომლებსაც შეუძლიათ მომატება და ჩვენთვის დიდი წინააღმდეგობის გაწევა. დანარჩენ გუნდებს დრო სჭირდებათ და თავიანთ თამაშს რომ იპოვიან, მათგანაც საკმარისზე მეტ ხიფათს ველით.

***– გაძლიერებას თუ აპირებთ?***

– ამ თემაზე კლუბის ხელმძღვანელობასთან მქონდა საუბარი და ახლაც იმ აზრზე ვრჩები, რომ ჩემპიონის ტიტულის დასაცავად მაქსიმალურად მზად ვართ. შემადგენლობით კმაყოფილი ვარ, თითოეულ პოზიციაზე კარგი კალათბურთელები გვყავს. ვფიქრობ, შეგვწევს ძალა, რომ ნებისმიერ მეტოქეს გავუწიოთ წინააღმდეგობა და კიდევ ერთხელ მოვიპოვოთ ჩემპიონობა.

***– საქართველოს ნაკრებზე რას იტყვით? როგორი ჯგუფია და რა შანსები აქვს გუნდს?***

– ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. საერთოდ, ევროპის ჩემპიონატზე სუსტი და ძლიერი ნაკრები არ არსებობს. ამასთან, ჯერ არ ვიცით, ვინ რა შემადგენლობას მოუყრის თავს. ტრავმების ალბათობა არსებობს, ამასთან არის კიდევ სხვა ფაქტორები, რომლის გამოც შესაძლოა, ნებისმიერი ნაკრების შემადგენლობამ სახე იცვალოს.

საერთოდ, ყველა მეტოქე იმაზე მეტად უნდა შევაფასოთ, ვიდრე ის ზოგადად იმსახურებს. ასევე მნიშვნელოვანი იქნება კარგად დაგეგმილი მოსამზადებელი პერიოდი. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობამ ამ მხრივ კარგი სამუშაო გასწია გასულ სეზონში და ახლაც ასეა. შეთავაზებები მიღებული გვაქვს, არის რამდენიმე ძალიან კარგი ტურნირის ვარიანტი და საბოლოო შეთანხმებას ველოდებით. ამ ეტაპზე იმის თქმა შეიძლება, რომ საქართველოს ნაკრებს არაერთ უმაღლესი დონის ნაკრებთან მოუწევს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში თამაში.

# გია ნიჟარაძე რაგბი ევროპის დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩიეს




პარიზში რაგბი ევროპის 97-ე გენერალური ასამბლეა გაიმართა, სადაც საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილი პრეზიდენტი, საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენელი გიორგი ნიჟარაძე „რაგბი ევროპის“ დირექტორთა საბჭოს წევრად აირჩიეს.

რაგბი ევროპის სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: აქამდე პრეზიდენტს 10 ვიცე-პრეზიდენტი ჰყავდა და გიორგი ნიჟარაძე ერთ-ერთი მათგანი იყო. ახლა ვიცე-პრეზიდენტების რაოდენობა 4-მდე შემცირდა და თითოეული მათგანი კონკრეტულ მიმართულებაზე იქნება პასუხისმგებელი, ხოლო დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილების მიმღები, უმაღლესი ორგანო გახდა.

კენჭისყრისას ნიჟარაძემ დელეგატთა ყველაზე მეტი – 290 ხმა მიიღო, რაც საქართველოს რაგბის კავშირის მიერ გაწეული ძალისხმევის კიდევ ერთი აღიარებაა. ამდენი მხარდამჭერი ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატებსაც კი არ ჰყავდათ.

# საქართველომ წელი 118-ე ადგილზე დახურა

ფიფა/კოკა-კოლას მიერ გამოქვეყნებულ ფეხბურთელთა ეროვნული გუნდების დეკემბრის თვის რეიტინგში საქართველოს ნაკრები ერთი საფეხურით დაწინაურდა და ახლა 118-ე პოზიციაზეა.

წლის ბოლოს რეიტინგის პირველი სამეული არ შეცვლილა. ჩამონათვალს არგენტინა ლიდერობს, მეორე ადგილზე ბრაზილიაა, ხოლო მესამეზე – გერმანია.



საუკეთესო ათეული საერთოდ ცვლილება არ მომხდარა და ასე გამოიყურება:

1.არგენტინა – 1.634 ქულა; 2 .ბრაზილია – 1.544; 3.გერმანია – 1.433; 4.ჩილე – 1.404; 5.ბელგია – 1.368; 6.კოლუმბია – 1.345; 7.საფრანგეთი – 1.305; 8.პორტუგალია – 1.229; 9.ურუგვაი – 1.187; 10.ესპანეთი – 1.166.

როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჯგუფში საქართველოს მეტოქეები უელსი, ირლანდია, ავსტრია, სერბეთი და მოლდოვა არიან. ცვლილებები, მოლდოველების გარდა, არც მათ შეხებიათ: უელსი ისევ მე-12 ადგილზეა, ირლანდიას 23-ე პოზიცია უკავია, ავსტრია – 31-ა ხოლო სერბეთი 44-ე ადგილზეა. მოლდოვამ 2 საფეხურით დაიხია და ახლა 164-ე პოზიციაზეა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შედეგები

**21 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

### ესპანეთი. სამეფო თასი

სევილია-ფორმენტერა ........ 9:1
ეიბარი-ხიხონი ........ 3:1
ვალენსია-ლეგანესი ........ 2:1
დეპორტივო-ბეტისი ........ 3:1
ოსასუნა-გრანადა ........ 2:0
ბარსელონა-ერკულესი ........ 7:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ლაიპციგი ........ 3:0
ჰერტა-დარმშტადტი ........ 2:0
კიოლნი-ლევერკუზენი ........ 1:1
ინგოლშტადტი-ფრაიბურგი ........ 1:2
ჰოფენჰაიმი-ვერდერი ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 16 | 12 | 3 | 1 | 38-9 | 39 |
| 2.ლაიპციგი | 16 | 11 | 3 | 2 | 31-15 | 36 |
| 3.ჰერტა | 16 | 9 | 3 | 4 | 24-16 | 30 |
| 4.აინტრახტი | 16 | 8 | 5 | 3 | 22-12 | 29 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 16 | 6 | 10 | 0 | 28-17 | 28 |
| 6.დორტმუნდი | 16 | 7 | 6 | 3 | 35-19 | 27 |
| 7.კიოლნი | 16 | 6 | 7 | 3 | 21-15 | 25 |
| 8.ფრაიბურგი | 16 | 7 | 2 | 7 | 21-27 | 23 |
| 9.ლევერკუზენი | 16 | 6 | 3 | 7 | 23-24 | 21 |
| 10.მაინცი | 16 | 6 | 2 | 8 | 26-30 | 20 |
| 11.შალკე | 16 | 5 | 3 | 8 | 20-19 | 18 |
| 12.აუგსბურგი | 16 | 4 | 6 | 6 | 13-17 | 18 |
| 13.ვოლფსბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-24 | 16 |
| 14.გლადბახი | 16 | 4 | 4 | 8 | 15-25 | 16 |
| 15.ვერდერი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-34 | 16 |
| 16.ჰამბურგი | 16 | 3 | 4 | 9 | 14-31 | 13 |
| 17.ინგოლშტადტი | 16 | 3 | 3 | 10 | 14-27 | 12 |
| 18.დარმშტადტი | 16 | 2 | 2 | 12 | 11-30 | 8 |

### იტალია. სერია ა

ინტერი-ლაციო ........ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 17 | 14 | 0 | 3 | 36-14 | 42 |
| 2.რომა | 17 | 11 | 2 | 4 | 36-17 | 35 |
| 3.ნაპოლი | 17 | 10 | 4 | 3 | 37-18 | 34 |
| 4.ლაციო | 18 | 10 | 4 | 4 | 32-21 | 34 |
| 5.მილანი | 17 | 10 | 3 | 4 | 27-20 | 33 |
| 6.ინტერი | 18 | 9 | 3 | 6 | 28-21 | 30 |
| 7.ატალანტა | 17 | 9 | 2 | 6 | 25-20 | 29 |
| 8.ფიორენტინა | 17 | 7 | 5 | 5 | 25-21 | 26 |
| 9.ტორინო | 17 | 7 | 4 | 6 | 35-27 | 25 |
| 10.კიევო | 17 | 7 | 4 | 6 | 18-17 | 25 |
| 11.უდინეზე | 17 | 7 | 3 | 7 | 24-24 | 24 |
| 12.ჯენოა | 17 | 6 | 5 | 6 | 21-21 | 23 |
| 13.სამპდორია | 17 | 6 | 4 | 7 | 21-24 | 22 |
| 14.ბოლონია | 17 | 5 | 5 | 7 | 17-22 | 20 |
| 15.კალიარი | 17 | 6 | 2 | 9 | 23-39 | 20 |
| 16.სასუოლო | 17 | 5 | 2 | 10 | 21-29 | 17 |
| 17.ემპოლი | 17 | 3 | 5 | 9 | 9-24 | 14 |
| 18.კროტონე | 17 | 2 | 3 | 12 | 14-32 | 9 |
| 19.პალერმო | 17 | 2 | 3 | 12 | 15-34 | 9 |
| 20.პესკარა | 17 | 1 | 5 | 11 | 13-32 | 8 |

### საფრანგეთი. 1 ლიგა

სტ.ეტიენი-ნანსი ........ 0:0
ბორდო-ნიცა ........ 0:0
ლილი-რენი ........ 1:1
ლიონი-ანჟე ........ 2:0
პსჟ-ლორიანი ........ 5:0
ბასტია-მარსელი ........ 1:2
დიჟონი-ტულუზა ........ 2:0
მონაკო-კაენი ........ 2:1
ნანტი-მონპელიე ........ 1:0
მეცი-გენგამი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 19 | 13 | 5 | 1 | 34-13 | 44 |
| 2.მონაკო | 19 | 13 | 3 | 3 | 56-20 | 42 |
| 3.პსჟ | 19 | 12 | 3 | 4 | 38-15 | 39 |
| 4.ლიონი | 18 | 11 | 1 | 6 | 34-19 | 34 |
| 5.გენგამი | 19 | 8 | 6 | 5 | 25-19 | 30 |
| 6.მარსელი | 19 | 8 | 6 | 5 | 22-19 | 30 |
| 7.რენი | 19 | 8 | 4 | 7 | 20-23 | 28 |
| 8.სტ.ეტიენი | 19 | 6 | 8 | 5 | 18-16 | 26 |
| 9.ტულუზა | 19 | 7 | 5 | 7 | 22-21 | 26 |
| 10.ბორდო | 19 | 6 | 7 | 6 | 20-26 | 25 |
| 11.მონპელიე | 19 | 5 | 7 | 7 | 28-31 | 22 |
| 12.ლილი | 19 | 6 | 3 | 10 | 18-25 | 21 |
| 13.ნანსი | 19 | 5 | 6 | 8 | 15-23 | 21 |
| 14.ბასტია | 19 | 5 | 5 | 9 | 17-23 | 20 |
| 15.დიჟონი | 19 | 4 | 7 | 8 | 26-29 | 19 |
| 16.ანჟე | 19 | 5 | 4 | 10 | 15-24 | 19 |
| 17.ნანტი | 18 | 5 | 4 | 9 | 12-26 | 19 |
| 18.მეცი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-36 | 19 |
| 19.კაენი | 18 | 5 | 3 | 10 | 20-32 | 18 |
| 20.ლორიანი | 19 | 4 | 3 | 12 | 20-38 | 15 |

### პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბენფიკა-რიუ ავე ........ 2:0

### ბელგია. 1 დივიზიონი

ვარეგემი-გენკი ........ 1:0
კორტრაიკი-ოსტენდე ........ 0:2
სტანდარდი-ლოკერენი ........ 1:1
ეუპენი-ბრიუგე ........ 1:4

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# წელიწადში ორჯერ მიაკითხეთ გინეკოლოგს

ეკა ირემაშვილი

ალბათ, ბევრ ქალს აინტერესებს პასუხი კითხვაზე – როდის უნდა მიმართოს გინეკოლოგს.

სხვადასხვა დაავადების თავიდან ასაცილებლად და ქალის ჯანმრთელობის მაქსიმალურად ხანგრძლივად შენარჩუნებისთვის საუკეთესო გზა რეგულარული პროფილაქტიკური გასინჯვაა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია იძლევა რეკომენდაციას, რომ ქალმა გინეკოლოგს წელიწადში 2-ჯერ მაინც უნდა მიმართოს.

რა გინეკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტირებაა გინეკოლოგთან დროული ვიზიტის შედეგად და რა ახალი მიდგომებია დანერგილი გინეკოლოგიაში, ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის გინეკოლოგიური დეპარტამენტის უფროსი მინდია იობაშვილი საუბრობს.



**მინდია იობაშვილი:**

– ქალების უმრავლესობა ექიმს მიმართავს მაშინ, როცა იწყება დისკომფორტი მცირე მენჯის ღრუში და მტკივნეული შეგრძნებები. დროული დიაგნოსტიკა დაავადებათა თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. პროფილაქტიკური გასინჯვა კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დაავადებების დიდი ნაწილი პრაქტიკულად უსიმპტომოდ მიმდინარეობს.

***– გინეკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მრავალი მეთოდი არსებობს. ყველაზე მნიშვნელოვანი რომელია?***

– გინეკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მართლაც მრავალი მეთოდი არსებობს. რეპროდუქციულ ორგანოთა მდგომარეობის შესახებ სარწმუნო ინფორმაციას ულტრაბგერითი კვლევა იძლევა.

***– რა ინფორმაციას იძლევა ულტრაბგერითი კვლევა?***

– თანამედროვე აპარატებით შესაძლებელია მცირე კალიბრის სისხლძარღვების დათვალიერება, მიომური კვანძების ან სხვა წარმონაქმნების აგებულების განსაზღვრა და ამ მონაცემების საფუძველზე მკურნალობის ტაქტიკის შემუშავება.

***– რა არის ჰისტეროსკოპია?***

– ჰისტეროსკოპია საკმაოდ ინფორმაციული მეთოდია. ეს არის ოპტიკურბოჭკოვანი ხელსაწყოთი საშვილოსნოს ღრუს შიგნიდან დათვალიერება. თანამედროვე ჰისტეროსკოპს ძალიან მცირე დიამეტრის მილი აქვს, ამიტომ საშვილოსნოს ყელი, პრაქტიკულად, უმტკივნეულოდ იხსნება. ამ პროცედურის დროს შესაძლებელია მცირე წარმონაქმნების ენდომეტრიუმის პოლიპებისა და სინექიების მოცილებაც.

***– რისი გაგებაა შესაძლებელი მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით?***

– მცირე მენჯის ღრუს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ყველაზე ინფორმაციული არაინვაზიური კვლევაა. არაერთი გინეკოლოგიური დაავადების – ავთვისებიანი სიმსივნეების, საშვილოსნოსა და საკვერცხეების მოცულობითი წარმონაქმნების, ენდომეტრიოზის, დიაგნოსტიკისთვის მისი ჩატარება გაიდლაინებითაა მოწოდებული.

***– რა დანიშნულება აქვს გინეკოლოგიაში მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას?***

– მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია გამოიყენება საშვილოსნოსა და საკვერცხეების როგორც კეთილთვისებიანი, ისე ავთვისებიანი დაავადებების დიაგნოსტიკაში პათოლოგიური პროცესის გავრცელების, კერძოდ, მეზობელ ორგანოებსა და მაგისტრალურ სისხლძარღვებში ინვაზიის გამოსავლენად. მას ასევე დიდი როლი აკისრია ქიმიოთერაპიის, სხივური თერაპიისა და ოპერაციული მკურნალობის ეფექტის შეფასებაში.

***– უსაფრთხოა თუ არა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული კვლევის ჩატარება ორსულისთვის?***

– დადგენილია, რომ 15-წუთიანი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, რაც რეალურად საკმარისი ხანგრძლივობაა კვლევისთვის, არ ზრდის ნაყოფის სიმახინჯეების განვითარების რისკს, ამიტომ მას თამამად იყენებენ როგორც ორსულებთან, ასევე ახალშობილებთან.

***– გინეკოლოგიაში არსებობს მკურნალობის კიდევ ერთი და აქტუალური მეთოდი – ლაპაროსკოპია. ეს რა მეთოდია?***

– ლაპაროსკოპიულ მეთოდს წამყვანი როლი აკისრია უშვილობის დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. ამ მეთოდით შესაძლებელია საშვილოსნოს მილების გამტარობის შემოწმება, მათი პლასტიკა, საკვერცხეების კაუტერიზაცია ანუ სოლისებური ამოკვეთა პოლიკისტოზის დროს და უშვილობის გამომწვევი სხვა პათოლოგიების მკურნალობა. დასავლეთის წამყვან კლინიკებში გინეკოლოგიაში ღია წესით ჩატარებული ოპერაციები წარსულს ჩაბარდა და სპეციფიკური ჩვენების გარეშე აღარ ტარდება. ჩვენს კლინიკაშიც 24 საათის განმავლობაში ლაპაროსკოპიულად იკვეთება საკვერცხის კისტა, მიომა, საშვილოსნო. თუმცა ყველა ქირურგი, რომელიც ამ მეთოდს იყენებს, ღია წესით ოპერაციის ტექნიკასაც უნდა ფლობდეს.

***– XXI საუკუნეში რა სამედიცინო სიახლეებია გინეკოლოგიაში?***

– თანამედროვე მედიცინის მნიშვნელოვანი მიღწევაა სიმსივნეთა სისხლძარღვოვანი ემბოლიზაცია. ამ მეთოდს მიმართავენ ფიბრომიომის დროს, რომელიც 10-დან 4 ქალს აღენიშნება. პროცედურა ნაკლებტრავმულია, ტარდება ადგილობრივი ანესთეზიით, ბარძაყის არტერიის გავლითა და ანგიოგრაფიული კონტროლით. კვანძების მკვებავი სისხლძარღვები ემბოლიზდება ანუ იხშობა და კვანძის კვება წყდება, რაც მის ზომას ამცირებს. ქალი მეორე დღეს ეწერება სახლში.

***– ხშირად ქალბატონები ვერ ახერხებენ ექიმთან ვიზიტს. თქვენ, როგორც გინეკოლოგი, რაც ურჩევდით მათ?***

– ქალებს ვურჩევდი, ჩაიტარონ რეგულარული პროფილაქტიკური გასინჯვები და შეინარჩუნონ ჯანმრთელობა. ეს მათ მიანიჭებთ სიმშვიდესა და თავდაჯერებულობას, რაც ქალის მომხიბვლელობის მთავარი საიდუმლოა.

## ძეხვეული ასთმის სიმპტომებს აძლიერებს



გადამუშავებული ხორცპროდუქტები შესაძლოა, გახდეს ასთმის სიმპტომების გაძლიერების მიზეზი. ამის შესახებ ნათქვამია კვლევაში, რომელიც ჟურნალ თჰორახ-ში გამოქვეყნდა.

მეცნიერების მტკიცებით, ძეხვეული, სოსისები და ლორი შეიცავს ნიტრანტის კონსერვანტს, რომელიც ვნებს სასუნთქ გზებს.

როგორც ირკვევა, კვირის განმავლობაში ოთხ პორცია გადამუშავებულ ხორცპროდუქტებზე მეტის მიღება აძლიერებს ასთმის ისეთ სიმპტომებს, როგორებიცაა სუნთქვის გართულება და უკმარისობა, ასევე შებოჭილობის შეგრძნებას მკერდში.

ერთ პორციაში კი, მეცნიერები გულისხმობენ ორ ნაჭერ ლორს ან ძეხვს ანდა ერთ სოსისს. შესაბამისად, მათი დაკვირვებით, კვირაში 4 ცალ სოსისზე ან 8 ნაჭერ ძეხვზე მეტის მირთმევა უარყოფითად იმოქმედებს ადამიანის სასუნთქი გზების მუშაობაზე.

კვლევის ფარგლებში მეცნიერები 2003-2013 წლის პერიოდის მანძილზე აკვირდებოდნენ საფრანგეთის 1.000 მოქალაქის კვების რაციონს, რომელთა ნახევარიც ასთმიანი იყო.

მკვლევარების შეფასებით, ისინი, ვისაც მათ მიერ დადგენილ პორციაზე მეტი ოდენობით ძეხვეულს იღებდა, ასთმასთან დაკავშირებული სირთულეები გაუძლიერდა.

**მედიანიუსი**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## საპნის ქურდი ტყუპები პოლიციამ დაიჭირა

აშშ-ში პოლიციამ დააპატიმრა ტყუპი ძმები კენი და ლენი სტიუარტები, რომლებსაც უნდოდათ, მაღაზიიდან მოეპარათ 180 ნაჭერი საპონი, მაგრამ გზაზე მრავალრიცხოვანი წინაღობების გამო ნაქურდალთან ერთად მიმალვა ვერ შეძლეს.

ინციდენტი ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ აბსიკონში მოხდა. ტყუპები მაღაზიაში დიდი ჩანთით მივიდნენ, მასში 30 შეკვრა საპონი ჩაყარეს და გასასვლელისკენ გაიქცნენ. მათ გამყიდველები დაედევნნენ.

სირბილის დროს ძმებმა გზაზე ყუთი ვერ შენიშნეს, წამოედვნენ და წაიქცნენ, თუმცა დაცემის შემდეგ წამოხტნენ და ისევ გაიქცნენ, მაგრამ მალე საქონლით დატვირთულ ურიკას გადააწყდნენ და ისევ წაიქცნენ.

ამ წინაღობის დაძლევის შემდეგ ძმებმა კუთხეში შეუხვიეს და აქ უკვე პოლიციელს გადააწყდნენ, რომელიც მაღაზიის მახლობლად მდებარე ავტოსადგომზე სხვა შემთხვევას იძიებდა.

კენი და ლენი სტიუარტები დააკავეს და მაღაზიის გაქურდვის ბრალდება წაუყენეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

23 დეკემბრისათვის



**ვერძი** – გარშემომყოფების მიმართ დიდი მოთმინება გმართებთ. კრიტიკას მტკივნეულად ნუ მიიღებთ. **კურო** – ნებისმიერი საქმე თამამად დაიწყეთ. თქვენი ოპტიმიზმი სხვებსაც პოზიტიურად განაწყობს. **ტყუპები** – ილუზიებისგან გათავისუფლდით და რეალობა მიიღეთ. დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ. **კირჩხიბი** – რეპუტაციას გაუფრთხილდით. ყოველგვარი საქმიანი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. **ლომი** – დღეს, როგორც არასდროს, საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. თავდაჭერა და მოთმინება დღის დევიზია. **ქალწული** – მიღებული ინფორმაცია აუცილებლად გულმოდგინედ გადაამოწმეთ, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **სასწორი** – ახალი ნაცნობობა და ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა სასიკეთოდ წაგადგებათ. ქალაქგარეთ გასვლას პლანეტები არ გირჩევენ. **ღრიანკალი** – ფინანსური ოპერაციები სასურველი არ არის. ერიდეთ კონფლიქტს ბავშვობის მეგობრებთან. **მშვილდოსანი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. პასუხისმგებლობის გრძნობამ დღეს არ უნდა გიღალატოთ. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაქვეითებულია. თავს ნურავის გააცურებინებთ. **მერწყული** – ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისას წინდაუხედაობა და აჩქარება არ ივარგებს. გადაწყვეტილება მხოლოდ სიტუაციის საგულდაგულო გაანალიზების შემდეგ მიიღეთ. **თევზები** – უფროსობა საინტერესო წინადადებას შემოგთავაზებთ. დიდი სიფრთხილე გმართებთ ფინანსური ოპერაციების განხორციელებისას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ეგეოსისა და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 2. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 3. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 4. ფრანგი ნევროპათოლოგი, ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი; 5. ყველაზე დიდი ქალაქი შოტლანდიაში; 11. მდინარე სვანეთში; 12. შემაგრებული პორტუგალიური ღვინო; 14. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 16. კარსტული მღვიმე წყალტუბოს მახლობლად; 17. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 19. საფრანგეთში წარმოშობილი დეკორატიულ-არქიტექტურული სტილი; 21. ალპინისტთა მეგზური ჰიმალაებში; 22. პოლიტიკური პარტია საქართველოში.

**თარაზულად:** 6. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 7. ქალაქი, ნავსადგური იტალიაში; 8. იაპონელი მოდელიორი; 9. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 13. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 15. საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით გამოწვეული ავადმყოფური შიში; 18. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 20. ცხენების ჯოგი; 21. თაღლითი ბანქოს თამაშში; 23. შვეიცარიელი ბერების მიერ გამოყვანილი სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 24. აშშ-ის პრეზიდენტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პეტრა; 2. „ასაჰი“; 3. ზოსტერა; 4. ლალი; 5. მასა; 6. სკიპტრა; 9. ცხენისწყალი; 10. ფრიკადელი; 11. პორტოფინო; 14. ხომლი; 16. შპიგი; 18. ფეიქარი; 20. აღდგომა; 23. კარე; 24. ოდიში; 25. ხვატი; 36. წოტი.

**თარაზულად:** 7. კონსტანტა; 8. ნახალოვკა; 12. ტევრი; 13. „პორტო“; 15. ჯუნტა; 17. „მაჟესტიკი“; 19. ჯაყვა; 21. ვისლა; 22. ანოდი; 27. პროპორცია; 29. პანტომიმა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პომოლოგია; 2. მუხიანი; 3. ნამაზი; 4. ჰეიგი; 5. არაგვი; 11; სხალთა; 12. დინარი; 14. „ნასა“; 16. „რუსთავი“; 17. ვანდომი; 19. სეკანსი; 21. მონჟი; 22. ტარტუ.

**თარაზულად:** 6. მოლეკულა; 7. „მაესტრო“; 8. გროგი; 9. ვლტავა; 10. ზაქსი; 13. სიონი; 15. გრენლანდია; 18. მატროსი; 20. არფა; 21. მერანო; 23. პინკერტონი; 24. მირაჟი.

# ქეთი მელუა ღირსების ორდენით დააჯილდოვეს



დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

ქეთი მელუასა და გორის ქალთა კამერული გუნდის ევროპული ტურნეს დასკვნით კონცერტს თბილისში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრო.

ქეთი მელუამ და გორის კამერულმა გუნდმა ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადებული კომპოზიციები შეასრულეს.

კონცერტის შემდეგ გიორგი აბაშიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის სახელით ქეთი მელუას ღირსების ორდენი გადასცა.

ქართველ მომღერალს ღირსების ორდენი საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისთვის გადაეცა.

ქეთი მელუასა და გორის ქალთა გუნდის ერთობლივი კონცერტები ევროპაში 28 ოქტომბერს დაიწყო. მათ 28 კონცერტი გამართეს გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, დანიაში, შვედეთში, პოლონეთში, ბელგიასა და დიდ ბრიტანეთში.

საქართველოს კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ქეთი მელუასა და გორის ქალთა გუნდის პროექტი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია. აღნიშნული პროექტით საქართველოს შესახებ მსოფლიოში უფრო მეტმა ადამიანმა გაიგო.

ქეთი მელუა ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მუსიკოსია. მას გაყიდული აქვს 11 მილიონზე მეტი ალბომი, 1 მილიონი ბილეთი და მიღებული აქვს 56 პლატინის ჯილდო. იგი დასახელდა ყველაზე გაყიდვად არტისტად. მისი ალბომი „სურათები“ ევროპული ჩარტების სათავეში მოექცა. მისი ალბომის „სახლის“ პროდიუსერი რამდენიმე გრემის მფლობელი ინგლისელი მუსიკოსი და კომპოზიტორი უილიამ ორბიტია. ქეთი მელუას რიგით მეხუთე ალბომში „საიდუმლო სიმფონია“ შევიდა ფრანსუაზა არდის, რონ სექს სმიტის, ფრენსის ჰილისა და ჯიმი კოქსის სიმღერები. მეექვსე ალბომი „ქეთევანი“ გამოსვლიდან პირველივე კვირას არა მხოლოდ ბრიტანული, არამედ ევროპული ჩარტების ლიდერი გახდა.

ქეთი მელუას საქართველოში ერთ-ერთი ვიზიტის დროს გადაწყდა მისი და გორის ქალთა გუნდის თანამშრომლობა, რომელიც უკვე 45 წლისაა. გუნდი საქართველოს სახალხო არტისტმა, რუსთაველის პრემიისა და ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატმა შალვა მოსიძემ დააარსა. გუნდი სხვადასხვა საერთაშორისო საგუნდო მუსიკის კონკურსის ლაურეატია, მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალში, ხოლო რეპერტუარი მოიცავს როგორც ქართველი, ისე ევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. უკვე სამი წელია გუნდს თეონა ცირამუა ხელმძღვანელობს.

# ფიტნესკლუბში შევარდნილმა ირემმა იქ მყოფნი შეაშინა




ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ანდერსონში მდებარე სპორტდარბაზ გოლდენს გუმში ირემი შეიჭრა. ვიდეოჩანაწერი, თუ როგორ გადაადგილდება ირემი შენობაში, ფეისბუქში ფიტნესკლუბის გვერდზეა გამოქვეყნებული.

ცხოველი შენობაში მას შემდეგ მოხვდა, რაც ვესტიბიულის შუშის ვიტრინა ჩაამსხვრია, შემდეგ კი იმ დარბაზში შეირბინა, სადაც სავარჯიშო მოწყობილობები იყო განთავსებული და იქ მყოფი მოვარჯიშეები შეაშინა. საბოლოოდ სპორტული დარბაზი იმავე ჩამსხვრეული ვიტრინიდან დატოვა.

— სანამ მიიმალებოდა, მან შესძახა: „ბედნიერ შობას დაესწარით!“ — ხუმრობით განაცხადა დაწესებულების ადმინისტრაციამ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ამირან მექვაბიშვილი, ხვთისავარ არჩემაშვილი, გურამ გუნავა, ზურაბ ლომიძე

იუწყებიან სახელოვანი ჟურნალისტის

**რუსლან რუსიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გიორგი ოვაშვილი ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერია



ქართველი რეჟისორი გიორგი ოვაშვილი საფრანგეთის კულტურის მინისტრმა დააჯილდოვა. ოდრე აზულეს გადაწყვეტილებით, გიორგი ოვაშვილს საფრანგეთისა და მსოფლიოს კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენის კავალერის წოდება მიენიჭა. ჯილდო ქართველ რეჟისორს საფრანგეთის ელჩმა პასკალ მენიე გადასცა. დაჯილდოების ცერემონიას დიპლომატიური კორპუსის, კულტურის სამინისტროსა და კინოსფეროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

გიორგი ოვაშვილი ფრანგული კინოსამყაროს წარმომადგენლებთან უკვე წლებია თანამშრომლობს. მისი ერთ-ერთი ბოლო და გახმაურებული ფილმი „სიმინდის კუნძული“ ფრანგულ მხარესთან აქტიური თანამშრომლობის შედეგია. ფილმმა კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის გრანპრი ოქროს გლობუსი მოიგო, მოგვიანებით კი ქართული მხარის მიერ ოსკარზე იქნა წარდგენილი, სადაც მოკლე ნუსხაშიც აღმოჩნდა. „სიმინდის კუნძული“ 35-მდე საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის მფლობელია.

ხელოვნებისა და ლიტერატურის ორდენი საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ თითქმის 50 წელია დააარსა. ამ ჯილდოს მფლობელები არიან მსოფლიოში ცნობილი ხელოვანები, მომღერლები, მსახიობები: შაკირა, ტიმ ბარტონი, უმა თურმანი, ენგ ლი, ჯუდ ლოუ, ჯორჯ ქლუნი, მელანი ლორანი, ქეით ბლანშეტი, მარიონ კოტიარი, ვანესა პარადი, კაილი მინოუგი, ელიფ შაფაქი.

# სტეფანე ევროვიზიას აკრიტიკებს



მომღერალი და პროდიუსერი სტეფანე ევროვიზიას აკრიტიკებს.

წელს საქართველოს წარსადგენად ევროვიზია 2017-ზე 25 კონკურსანტი იბრძოლებს. მათ შორის ბევრი უკვე შემდგარი და ცნობილი მომღერალია: თაკო გაჩეჩილაძე, რატი დურგლიშვილი, ნუცა ბუზალაძე, თემო საჯაია, თორნიკე ყიფიანი, ოთო ნემსაძე...

მიუხედავად იმისა, რომ 2008 წელს მომღერალი და პროდიუსერი სტეფანე საქართველოს ევროვიზიის შიდაშესარჩევ კონკურსში ნინი ბადურაშვილთან, თაკო გაჩეჩილაძესა და ქრისტინე იმედაძესთან ერთად მონაწილეობდა სიმღერით „პუტინ დისკო“ და გაიმარჯვა კიდეც, მაინც ევროფესტივალის წინააღმდეგ გამოდის.

**სტეფანე:**

— ევროვიზია არის არაფრისმომცემი, ნერვებისმომშლელი კონკურსი, მაგრამ, ვისაც უნდა, გაუმარჯოს, უბრალოდ, წესებში უნდა გაერკვეს. ეს არის სიმღერის კონკურსი და არა კივილ-წივილისა და ფსიქოდელიკის. სიმღერა უნდა გრჩებოდეს ყურში და გახსოვდეს, ანუ ჰიტი უნდა დარჩეს და იმ ასოცი სიმღერიდან მაინც რომელია ასეთი, ვერ გავიგე. მე მხარს ვუჭერ ტრიო „ღანძილს“, როგორც უბადლო მარაზმს. დიდი მადლობა ყურადღებისთვის...

# ლადო გუდიაშვილის იუბილე ხელოვნების მუზეუმში აღინიშნება



ქართული თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის ლადო გუდიაშვილის 120 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში კიდევ ერთი გამოფენა „ლადო გუდიაშვილი და ქართული მონუმენტური მხატვრობა“ გაიხსნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის მრავალფეროვანი შემოქმედების ერთი ასპექტი, მონუმენტური მხატვრობა, რომელიც სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულად აისახა. გამოფენა წარმოადგენს ლადო გუდიაშვილის მიერ შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის, მათ შორის, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით 1917 წელს მოწყობილი ტაო-კლარჯეთისა და 1954 წელს, ბიჭვინთის V-VI საუკუნის ეკლესიის იატაკის მოზაიკის აღდგენა-გადარჩენის ექსპედიციის დროს მხატვარ ოთარ სულავასთან ერთად შესრულებულ ასლებს, ასევე თავად ლადო გუდიაშვილის მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული თუ განუხორციელებელი კედლის მოხატულობების ესკიზებსა და უნიკალურ ფოტომასალას.

სრულიად ახალგაზრდა ლადო გუდიაშვილი ჩაერთო საისტორიო-საეთნოგრაფიო და ქართველ ხელოვანთა საზოგადოებების მიერ ეროვნული კულტურის შესწავლა-გადარჩენის მიზნით მოწყობილ ექსპედიციებში და მათი დავალებით ასრულებდა შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ასლებს. ამ დროიდან ლადო გუდიაშვილი თავად ქმნიდა კედლის მხატვრობას ტფილისის მოდერნისტულ არტკაფეებსა და კლუბებში, მათ შორის, 1919 წელს ქართველ მწერალთა არტისტულ კაფე-კლუბ „ქიმერიონში“. ლადო გუდიაშვილს პარიზშიც და სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არ შეუწყვეტია მონუმენტურ მხატვრობასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესი ნაწილი დაუდევრობისა თუ საბჭოთა იდეოლოგიური წნეხის პირობებში მიზანმიმართულად ნადგურდებოდა. თავდაპირველი სახით შემორჩა მხოლოდ 1946 წელს მოხატული ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიის საკურთხეველი.

ლადო გუდიაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

# დოსტოევსკის ორეული თავისუფალ თეატრშია

თავისუფალ თეატრში პრემიერაა. 23 დეკემბერს პირველად საქართველოში დოსტოევსკის „ორეული“ გათამაშდება.

თავისუფალი პროექტის ფარგლებში სპექტაკლი სოხუმის თეატრის მსახიობმა მერაბ ყოლბაიამ დადგა. ინსცენირება და მუსიკალური გაფორმებაც რეჟისორს ეკუთვნის. მხატვრობაზე ბექა ქავთარაძემ იმუშავა, ქორეოგრაფიაზე — ნატალია დიასამიძემ. სპექტაკლში მონაწილეობენ მერაბ ყოლბაია, ენემეო სიდიანი, დავით გიგოლაშვილი, ჯულიეტა პაკელიანი, ედემ ხვიჩია, ნატალია დიასამიძე, ანდრო სარიშვილი.

— სპექტაკლის მთავარი მოქმედი პირი, იაკობი, ოფისში მსახურობს და მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა გონებრივი შესაძლებლობებია. ის ვერ ეგუება სისტემას, სტრუქტურას. თავმდაბლობასთან ერთად, ის ინდივიდუალურია და ცდილობს, გათავისუფლდეს. ერთ დღეს ოფისში ჩნდება მისი ორეული მისივე სახელითა და გვარით, რომელიც იმავე ოფისში იწყებს სამსახურს. იაკობის ორეული მისივე ანტიპათია. უსირცხვილო ეშმაკი უფროსების მიმართ ლაქიაა და სისტემის მსახური ხდება. ის ცდილობს იაკობის ჩანაცვლებას. სპექტაკლში კარგად ჩანს, თუ როგორ არის ერთ ადამიანში თავმოყრილი დადებითი და უარყოფითი თვისებები... საინტერესოა, საბოლოოდ ვინ გადაწონის, ადამიანი ინდივიდი თუ ადამიანი, რომელიც სისტემის მსახურია, — აცხადებს რეჟისორი მერაბ ყოლბაია.



**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

### პარასკევი 23 დეკემბერი

**07.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **15.00, 01.40** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00, 02.40** "რეალური სივრცე" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** მხ/ფ "**მებრძოლი თევზი**"

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" მე-**6** ნაწ. **09.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** მხ/ფ "**მიწისძვრა**" **12.00** ტ/სერ. "**ოპერაცია მფრინავი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "ეპიცენტრი" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ჩრდილში მდგომნი**" **23.00** "მოამბე" (**3** ენებზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ."**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ღია ეთერი – პოლიტიკური თოქ შოუ **23.30** სერ. "**ვიკინგები-2**" **7** სერ. **00.30** მხ/ფ "**იესოს მკვლელობა**" **03.00** მხ/ფ "**უკანასკნელი ეგზორცისტი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **8.00** ან/სერ. "ავატარი" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**ინტერესის ობიექტი**" **0.00** მხ/ფ "**სისხლიანი ალმასი**" **2.30** მხ/ფ "**ბზარი**" **4.30** მხ/ფ "**ძალადობის ისტორია**"

**06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "ველური ბუნება" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** ლექციები მეფუტკრეობაზე **10.35** მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" **12.10** პორტრეტები **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ნაძერწი ფიგურები" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ბიბლია ბავშვებისთვის **15.40** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ნელი სალაძე" **16.10** კონცერტი **17.00** მიწათმოქმედი "სასუქი" **17.30** ჩვენი საგანძური **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**პალიასტომი**" **20.40** ძილი ნებისა "მეფეთ მეფე დავით აღმაშენებელი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ქვიშით ამღერებული პოეზია **21.15** დროის ჩანაწერები (ციკლური გადაცემა) **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ზურტაკეტი-რაც მტერმა ვერ დააქცია" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დეკორატიული ფლორა "ნოლინა" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "მყინვარწვერი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 1.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ფართოა მდინარე**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი, თუ შეძლებ**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **1.30** მხ/ფ "**მეჯვარე**" **3.30** სერ. "**ფართოა მდინარე**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

23 დეკემბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.7846 |
| ევრო | 2.8938 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4351 |
| 100 რუსული რუბლი | 4.5575 |

## ამინდის პროგნოზი 23 დეკემბრისთვის





## 20 დეკემბრიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები




ემილ ზოლა

ქალთა ბედნიერება

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 22 დეკემბრიდან

ძმები გრიმები

წითელქუდა




მაგარი ყდა. 64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## იუმორი

კაცს სიდედრი გარდაეცვალა. დატრიალდა, ყველას შეატყობინა, ყველაფერი მოაგვარა, სახლში მიბრუნდა და ხედავს, სიდედრი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავს. გაოგნებული ეკითხება:

– კი მაგრამ, „ზალაში“ ფეხებგაჭიმული არ დაგტოვე?

– კი, შვილო, მარა კლინიკური სიკვდილი ყოფილა.

– კლინიკური არ ვიცი მე, გასვენება სამშაბათისთვისაა დანიშნული.

•••

თანასოფლელები ძროხას ყიდიან. კაცი მივა და ეკითხება:

– რა ღირს?

– 500 ლარი.

– რა ამბავია 500 ლარი ასეთ ძროხაში. ისეთი გამხდარია, ნემსის ყუნწში გაეტევა.

– რას ამბობ კაცო, ნემსის ყუნწში ძროხა როგორ გაეტევა?

– წავალ ახლა, მოვიტან ნემსს და ნახავთ, როგორ გაეტევა.

კაცი წავიდა. თანასოფლელები საგონებელში ჩავარდნენ. ერთი ამბობს:

– რა ვქნათ, მართლა რომ გაეტიოს.

– ავდგეთ და კუდი გავუნასკვოთ, – გამოსავალს მიაგნო მეორემ.

•••

მეზობელი მეზობელს ეკითხება:

– მართალია, რომ ამბობენ, შენი ძროხა 30 ლიტრ რძეს იწველება?

– მაგრეა.

– მაგას როგორ ახერხებ?

– როგორა და, შევდივარ ბოსელში და ვეუბნები ძროხასა: „აბა, ჩემო ბოჩოლა, რა გვაქვს დღესა, ბლომად რძე, თუ ძროხის ხორცი?

•••

ცოლი პლაჟზე წავიდა და აღარ დაბრუნდა. ქმარმა პოლიციაში განაცხადა. ერთი კვირის მერე პოლიციელები მივიდნენ და ეუბნებიან:

– თქვენთვის სამი ამბავი გვაქვს – ცუდი, კარგი და შესანიშნავი. რომლით დავიწყოთ?

– ცუდით.

– თქვენი მეუღლე ზღვაში დაიხრჩო და წყლიდან ამოვიყვანეთ.

– კარგი რომელიღაა?

– ჩვენ მასზე ბევრი კიბორჩხალა შევაგროვეთ.

– და შესანიშნავი რაღაა?

– ხვალ ისევ ამოვიღებთ წყლიდან და ლუდზე გეპატიჟებით.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 16 დეკემბრიდან

ნოდარ ასათიანი

საქართველოს ისტორია




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## კიმ კარდაშიანის ძმა შობის წინ ცოლისა და საჭმლის გარეშე დარჩა



ამერიკელ ტელევარსკვლავ კიმ კარდაშიანის ძმა, რობი, ცოლმა მიატოვა. მან თან წაიყვანა შვილი, ასევე წაიღო მთელი ავეჯი და საჭმელი, რაც კი სახლში იყო. ამის თაობაზე რობიმ ვიდეოჩანაწერში ისაუბრა, რომელიც საკუთარ სნაპჩატში ჩატვირთა.

ჩანაწერში კარდაშიანი ამბობს, რომ შობის წინ მან სახლი მორთო, მაგრამ იქ თავისი მეუღლე ბლეკ ჩაინი არ დახვედრია, რომელმაც მათი გოგონა დრიმიც თან წაიყვანა. ასევე მან აღნიშნა, რომ ცოლმა სახლიდან წაიღო ავეჯი და საჭმელიც კი, სულ მთლად დააცარიელა მაცივარი და სამზარეულოს თაროები.

## ავსტრალიელმა მუსლიმან ქალს ბოთლი ესროლა ფრაზისთვის: „ბედნიერ დღესასწაულებს გისურვებ!“

ავსტრალიის ქალაქ პერტში მუსლიმან ქალს, რომელმაც არ მოისურვა, წარმოეთქვა სიტყვა „შობა“, ბოთლი ესროლეს. მას ასევე ჩამოჰგლიჯეს ტრადიციული თავსაბურავი და წაართვეს.

ინციდენტი სავაჭრო ცენტრის მახლობლად მოხდა. დაზარალებულის თქმით, მან მამაკაცს მის მიერ ნათქვამი ფრაზის „ბედნიერ შობას გისურვებ“ საპასუხოდ მიუგო: „ბედნიერ დღესასწაულებს გისურვებ“, რითიც მისი უკმაყოფილება გამოიწვია.



– მან იღრიალა: „არა, ბედნიერ შობას!“. მე ვუპასუხე „ო კეი“ და მაშინ მან ნაძირალა მუსლიმანი მიწოდა, – განაცხადა 33 წლის დაზარალებულმა ქალბატონმა, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

ქალის თქმით, მან შეურაცხმყოფელს განმეორებით ჰკითხა, რის შემდეგაც ბოთლი მოხვდა, რომელიც, საბედნიეროდ, სახეს ასცდა და კისრისა და მხარის არეში მოხვდა. ამის შემდეგ უცნობმა პირმა მას ქვებისა და ჯოხების სროლა დაუწყო.

ქალმა გაქცევა მოახერხა და ავტობუსში ჩაჯდა. მომხდარის შესახებ მან პოლიციას აცნობა. სამართალდამცავები ჩვენების ასაღებად მასთან მხოლოდ მეორე დღეს მივიდნენ.

დაზარალებულმა ასევე დახმარებისთვის მიმართა ისლამოფობიასთან ბრძოლის ადგილობრივ ცენტრს. უფლების დამცველებმა სავაჭრო ცენტრს სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გადაცემა მოსთხოვეს, თუმცა უარი მიიღეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლინდსი ლოჰანი თურქეთში სირიელ დევნილებს დაეხმარება



ლინდსი ლოჰანი განმეორებით ეწვევა თურქეთში მდებარე სირიელი დევნილების ბანაკს, სადაც ის უკვე იმყოფებოდა მიმდინარე წლის შემოდგომაზე, როგორც მოხალისე.

როგორც 30 წლის მსახიობმა განაცხადა, მას ჯერ არ გადაუწყვეტია, თურქეთში ახალ წლამდე გაემგზავრება თუ ახალი წლის შემდეგ.

– ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი ვითარება იქნება თურქეთში, თუმცა, ამავე დროს, მინდა განვაცხადო, რომ ვერანაირი ტერორისტული თავდასხმა ვერ ამაღებინებს ხელს იმ ადამიანების დახმარებაზე, რომლებსაც ეს სჭირდებათ, – განმარტა ლინდსიმ.

ახალი წლის ღამეს, მსახიობის თქმით, ის ნამდვილად დუბაიში ღამის კლუბში გაატარებს, სადაც სადღესასწაულო საღამოს წამყვანი იქნება.

## ბრიტანელმა ქალმა 923 კრამიტი დაამტვრია და რეკორდი დაამყარა

ტხეკვანდოს ოსტატმა ბრიტანელმა ლიზა დენისმა ქალებს შორის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა შიშველი ხელებით ერთ წუთში კრამიტის დამტვრევაში.

ტელეგადაცემის გინეს ვორლდ რექორდს იტალიან შოუს დროს ბრიტანელმა სპორტსმენმა ერთი წუთის განმავლობაში სტუდიაში 10-10 ცალად დალაგებული 923 კრამიტი დაამტვრია.

გამოსვლის დასაწყისში დენისი ორივე ხელს იყენებდა და ერთბაშად ოც ცალს ამტვრევდა. ასე მან დაახლოებით კრამიტების ორი მესამედი დაამტვრია. დარჩენილ დროში მხოლოდ მარჯვენა ხელს იყენებდა. სწორედ ამის გამო ვერ მოასწრო მან ათასი კრამიტის დამტვრევა, როგორც თავიდან ჰქონდა ჩაფიქრებული.

ბრიტანელის მიერ დაფიქსირებული შედეგი გინესის რეკორდების წიგნში იქნება შეტანილი. სხვათა შორის, მამაკაცებს შორის ანალოგიური რეკორდი დენისის მეუღლეს ეკუთვნის.



## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. მაღალხარისხოვანი, არომატული სპირტიანი სასმელი; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექისათვის; 5. მომკილი პურის თავთავების სალეწი მოედანი; 6. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. შხამიანი გველი; 16. მოკლე კინოსარეკლამო რგოლი; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 20. ქართველი რაგბისტი; 23. ქუდების მკერავის ძველი ქართული სახელწოდება; 24. საშობაო სიმღერა; 25. ხანმოკლე შეჩერება ლაპარაკის დროს; 26. რუსეთის პარლამენტი.

**თარაზულად**: 7. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. კანონებში არსებული წინააღმდეგობა; 12. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 13. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 15. მდინარე ევროპაში; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 21. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 22. საიდუმლო წერისთვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტებისთვის; 28. ქართველ სახალხო მკურნალთა საგვარეულო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი